საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი 24 დეკემბერი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 50 კაპ.

ხელის მოწერის ფასი: 1 თვით 12 მანეთი [illegible] ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ. განცხადების ფასი: [illegible] სტრიქონი—1 მან. [illegible] 20 მან. [illegible] 12 ს. [illegible] ფასი [illegible] კისრულობს.

რედაქცია და კანტორა [illegible] ქ. 199. რედაქცია „ერთობა“. [illegible] 10—12 [illegible] (ქ. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 278 ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 278

საქართველოს სოც.-დემ. პარტიის ცენტრალური კომიტეტი, გაზ. „ერთობის“ რედაქცია, სახალხო გვარდიის მთავარი შტაბი, საქართველოს პარლამენტის ს. დ. ფრაქცია [illegible] ღრმა მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს, რომ [illegible] დაეცნენ ბრძოლის ველზე გმირულად ამხანაგები: სანდრო მაისურაძე, ლევან გოდერძიშვილი, ნესტორ ფარჯიანი, გიორგი ცინცაძე, [illegible] თავართქილაძე, [illegible] ზაქარეიშვილი, [illegible] ჩოლოყაშვილი, არსენ ჟორჟი, ამხ. კრიჭი, ამხ. ნარიმანიშვილი და კიტა დოლიძე, გამოსვენება დღეს, 24 დეკემბერს, დღის 1 საათ. რკინის გზის სადგურიდან.

უდროოდ დამწუხრებული და გულშეწუხებული მეუღლე ელენე აუწყებს ნათესავებს და ნაცნობთ და ამხანაგებს ძვირფასი მეუღლის

## ალექსანდრე (სანდრო) მაისურაძის

უდროოდ გარდაცვალებას, რომელიც მოხდა 19 დეკემბერს სომხის მოლაშქრე ჯართან შეტაკების დროს. გამოსვენება დღეს დილის 10 საათ. ნიკოლოზის ქ. № 85 დასაფლავება ძმათა სასაფლაოზე (ნაძალადევში).

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ელენე, დები: სონა ნაბიჭრიშვილისა, ანნა ნაცვლიშვილისა, ძმა ლევანი, სიძე მაქრო ნაცვლიშვილი, რძალი მარო, სიდედრი დესპინე, შვილები: ნინა და ჟორა აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგებს ძვირფასი

## ალექსანდრე (სანდრო) მაისურაძის

გარდაცვალებას, რომელიც გმირულად მოკლულ იქნა 19 დეკემბერს სომეხთა ჯართან შეტაკების დროს. გამოსვენება დღეს, დილის 10 საათზე, ნიკოლოზის ქუჩა, № 85. დასაფლავება ძმათა სასაფლაოზე, ნაძალადევში.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თფილისის კომიტეტი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს და მეგობრებს

## ამხ. სანდრო მაისურაძის

გმირულ სიკვდილს (1—1)

დავით როსტომის ძე მაჭავარიანი, დედით ლიზათი, მეუღლით მარიამით, დობმით ნინა და სვიმონით და შვილებით ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძვირფასი ბიძაშვილის

## სანდრო მაისურაძის

გმირულად დაღუპვას სამშობლოს ვერაგ მტერთან ბრძოლაში. დასაფლავება მოხდება „ძმათა სასაფლაოზე“ ნაძალადევში დღეს, 24 ქრისტ. გამოსვენება ნიკოლოზის ქ. 85.

გულდამწვარი გურული ამხანაგები მწუხარებით აუწყებენ მშობლებს და ამხანაგებს სახალხო გვარდიის არტილერისტის

## გერმანე ბიჭიას ძე მარშანიშვილის

გმირულად დაკარგვას, რომლის დაკრძალვა მოხდება სამების ეკლესიის გალავანში დილით, ხუთშაბათს, 26 დეკემბერს. (3—1)

თავზარდაცემული დედა ეკა, ძმა გიორგი, დები: ფადამე, ფედოსია, მაკრინე, ბარბარე და მელია, სიძე ფირნაოზ ქიმშვილი, და შვილები: თეკლე, ვასილი, ლუკა, კოლია, თათი ხანე და კალიუფა წეროძეები, ფიცხა, მოსე, ილიკო, მინადორა, მაგდანე და მარია ქიმშვილები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ ძვირფასი

## გერმანე ბიჭიას ძე მარშანიშვილის

გარდაცვალებას, რომელიც გმირულად დაეცა ბორჩალოს ბრძოლის ველზე 19 დეკემბერს. დასაფლავება მოხდება სოფ. სამების (გურია) ეკლესიის გალავანში, ხუთშაბათს, 26 დეკემბერს. (3—1)

უბედური მამა ნიკოლოზი, პაპა პეტრე და ბებია ანასტასია, დები: ნინო და ბარბარე, მამიდები: მარიამი და ვერა და ბიძა ვლადიმერი ნარიმანიშვილები, ანა და გიორგი ქვრივნაძეები, თამარი და პეტრე წირქვაძეები აუწყებენ ნათესავთ და ამხანაგებს გმირულად სიკვდილს სანაინის ფრონტზე სახალხო გვარდიელისა, მათი საყვარლის და დაუვიწყარის

## ალექსანდრე (საშა) ნარიმანიშვილისა.

დასაფლავება მოხდება სამშაბათს, 24 დეკემბერს, ძმათა სასაფლაოზე.

21 ამა დეკემბერს ქ. ქუთაისში გარდაცვალა

## ბექან დავითის ძე წერეთელი

რასაც აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე მისი ნიცა ალექსანდრეს ასული, შვილები: ნიკო და თამარ და ძმა არჩილ დავითის ძე წერეთლები. მიცვალებულის წასვენება ქუთაისიდან საჩხერეში სამშაბათს 24 დეკემბერს. დასაფლავება ს. საჩხერეში, ხუთშაბათს 26 დეკემბერს. (1—1)

გულდათუთქულნი მეტად დამწუხრებულნი მყოფნი: მამიდა ფედოსი, ბიძა გიორგი, ბიძაშვილები, სამსონ, ნატალია გიორგის ასული მელიევასი, გალინა გიორგის ასული მალავაძისა, ვასა გიორგის ასული ჩიტაიშვილისა, ხონა და გოგუცა ხალვაშიძეები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ 20 ს ქრისტ. გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე პიროვნიკი

## გაბრიელ (კიტა) სილიბისტროს ძე დოლიძე

რომლის დასაფლავება მოხდება 26 ქრისტ. სოფ. ბახვში. (1—1)

ღრმად დამწუხრებული კრილე და მეუღლე მისი ოლღა დოლიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებთ, რომ სომხებთან ბრძოლაში გმირულად დაიღუპა

## კიტა სილიბისტროს ძე დოლიძე

გულ დამწვარნი ლევან და ნადეჟდა ხოლევანის ძე და ასული, ქრისტინე მიხეილის ასული და მარიამ საბას ასული ცომაიები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას ძვირფას საყვარელ დაუვიწყარი დის, შვილიშვილის და დისწულის

## ნინო (ცოუტია) სილევანის ასულის ერქომაიშვილის

წირვა და პანაშვიდი ქვაშვეთის ეკლესიაში დილ. 10 ს. 26 დეკემბერს, დაკრძალვა წმინდა ნინოს სასაფ. გამოსვენება პუშკინის ქ. № 27. (1—1)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ელისო და დაი სონიჩკა, აუწყებენ ნაცნობ მეგობრებს, რომ 25 დეკ. იქნება გადახდილი ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი განსვენებული

## გიორგი (ალექსანდრე) გაბრიელის ძე კოზალაძის

მონასტრის წინამძღვარ ანგელოზის ეკლესიაში. ხვარბეთის საზოგად.

## ომი და ნაციონალისტები

„საქართველომ“ ამ ბოლო დროს ძალიან მოუხშირა წერას საგარეო პოლიტიკაზე და განსაკუთრებით საგარეო მინისტრის ევგენი გეგეჭკორის მოქმედებაზე.

სანამ გაზეთი მხოლოდ ნოტების ზოგიერთ სიტყვებს და ფრაზებს ჩაკარკიტებდა, ჩვენ შეგვეძლო პასუხი არ გაგვეცა.

მართალია, მნიშვნელობა აქვს სიტყვასაც, გამოთქმასაც, მაგრამ ეს სპეციალისტების საქმეა და ჩვენ შეგვეძლო გულდასმით მოგვესმინა, ბ. გვაზავას დიპლომატიური ვარჯიშობა გაზეთის ფურცლებზე.

მაგრამ საქმე სიტყვებში არაა და ჩვენ ვუცდიდით, როდის გამოააშკარავებდა გაზეთი თავის ნამდვილ გულისნადებს, როდის იტყოდა, თუ რად არ მოსწონს მას ესა თუ ის ფრაზა, ან ტერმინი, გეგეჭკორის ნოტაში ნახმარი... და აი ამ თვის 20 ნოემბერში გაზეთმა ეს გულახდილობა ჩაიდინა; მეთაურ წერილში „გეგეჭკორის პოლიტიკა“ გაზეთი თავის გულის ნადებს ასე გადმოგვცემს:

„ე. გეგეჭკორმა იცოდა, რომ სომხები საქართველოს წინააღმდეგ ომს აწყობდნენ, ეს არ შეიძლება არ სცოდნოდა, მაგრამ ის განაგრძობდა პირველი სომხების ხმობას ამიერკავკასიის კონფერენციაზე, და ქებით და კომპლიმენტებით თავბრუდახვეული თანდათან აგრძელებდა კონფერენციის მოწვევის დროს, რომ შეენახა პრესტიჟი მშვიდობის მოყვარე და ერთა სოლიდარობის გამამტკიცებელი მინისტრისა“.

ამ ამონაწერის შემდეგ მკითხველი გაიგებს, რა მწუხარეს გრძნობა აქვს, „საქართველოს“. მას არ მოსწონს ის, რომ ჩვენი მთავრობა ზავის პოლიტიკას აწარმოებდა, ერთა სოლიდარობის დროშით გამოდიოდა. მას არ მოსწონს, რომ ე. გეგეჭკორი, როგორც ამ ზავის პოლიტიკას მატარებელი, დაშნაკცაკანურ მუხანათობის გზაზე არ შედგა და სომხეთს უმალვე იარაღით თავს არ დაესხა.

მაშასადამე, დავა სიტყვებზე ამიერიდან იქცევა დავით საგრთაშორისო ზავის პრინციპებზე. და ამაზე ჩვენ მზათ ვართ ვუპასუხოთ. რომ ამ მხრივ ჩვენი პოლიტიკა იყო სწორი და უდავო, ეს ეჭვს გარეშეა. განა ჩვენც რომ ნაციონალისტური სიძულვილი და ღვარძლიანობა გამოგვეჩინა, რა გასამართლებელი საბუთი გვექნებოდა დემოკრატიის წინაშე?

სომხის შოვინისტებს შეუძლიათ სისხლის ღვრის პოლიტიკით იცხოვრონ. ქართველ ნაციონალისტებს შეუძლიათ ნაციონალისტური მიდრეკილებების ზრდა, სისხლით მოპოვებული, საზეიმო ხაზგასმით აღიარონ. მაგრამ დემოკრატიას, დემოკრატიულ მთავრობას არ შეუძლიან ომი, ადამიანთა ჟლეტა, სხვაზე თავდასხმა დაუდვას საფუძვლათ თავის მოქმედების ხაზს. დემოკრატიის სისხლი და სიცოცხლე უფრო ძვირათ ღირს, ვინემ ნაციონალისტური მისწრაფებანი. სიმაყე და ღირსება ერის უფრო სისწორით არის დაცული, როცა მისი ხელმძღვანელები მშვიდობიანობის აზრით სულდგმულობენ და არა მაშინ, როცა იარაღს აქღარუნებენ. საქართველოს დემოკრატია დღეს, განსურჩევლად ეროვნებისა, ამართლებს ჩვენს მთავრობას და სომხეთის მთავრობას აცხადებს ომის მიზეზათ და გამომწვევათ. განა ეს ე. გეგეჭკორის პოლიტიკის უდიდესი გამარჯვება არ არის?

დიპლომატიას ერთი მიზანი აქვს. საზოგადოებრივი აზრი თავის მხარეზე იყოლიოს და ამით სამხედრო ძალასაც თავის მუშაობა გაუადვილოს. და თუ დღეს ჩვენი ჯარის მოქმედება საერთო თანაგრძნობით არის მოსილი, თუ დღეს დიდი და პატარა საქართველოს მთავრობის და მისი ჯარების გარშემო იყრის თავს ერთსულოვნად, ამაში დიდი წილი უდევს იმ პოლიტიკას, რომელსაც ე. გეგეჭკორი მთავრობის სახელით და სრული თანხმობით აწარმოებდა.

მისი პიროვნების წინააღმდეგ გალაშქრება ამ შემთხვევაში, არის გალაშქრება მთავრობის წინააღმდეგ, ეს არის მთავრობის სახელის გატეხა ამ საპასუხისმგებლო მომენტში. ნაციონალ-დემოკრატებისაგან ჩვენ სხვას არც მოველით.

მათ სურთ ისარგებლონ სომხების ვერაგულ თავდასხმით, ხალხის გულში დანთებული შურისძიების გრძნობით სომხეთისადმი და მთავრობა ამ ვერაგი ხალხის დამცველად გამოიყვანონ, რომ ამით ხალხს მაზე გული აუცრუონ.

ჩვენ ვაცხადებთ: ჩვენ დღესაც ისეთივე მშვიდობიანობის მოყვარეობით ვართ გატაცებული, როგორც გუშინ. დღესაც ისე გვსურს ერთა სოლიდარობა, როგორც გუშინ. ახლაც სადაო კითხვების გადაჭრის საუკეთესო საშუალებათ მიგვაჩნია კონფერენცია და არბიტრაჟი, მაგრამ ვიბრძვით და ვიბრძოლებთ კიდეც იმათ წინააღმდეგ, ვინც იარაღით მოისურვებს თავის შოვინისტური გზა და მიზნები მოგვახვიოს თავზე. თავდამსხმელთან ჩვენ შეუპოვარი მებრძოლნი ვართ და სწორედ იმიტომ, რომ მშვიდობიანობის გზა გვინდა ერთა განვითარებისათვის.

დემოკრატია სიმბოლოა ზავის, მშვიდობიანობის. მაგრამ იგი არ ყოფილა ლაჩარი და არც მოუდრეკია ოდესმე ქედი ძალმომრეობის ჩამდენთა წინაშე, და სომხეთის შოვინისტებს იგი სწორეთ ამიტომ აძლევს საკადრისს პასუხს. ნაციონალისტობა პოლიტიკაში შექმნის მხოლოდ სომხურ აჯანყებებს, ჩეტნიკებს და ბოლოს აჯანყებულთა გასრესას. დემოკრატიის ომი კი მოგვცემს მხოლოდ დემოკრატიზმის განმტკიცებას... და როცა ომი აუცილებელია, დიპლომატიაც სწორედ ამ მიზანს უნდა ემსახუროს...

„საქართველოს“ მოსწონს, როცა ნაციონალისტური ტენდენციები იზრდება ერში, ჩვენ კი ეს მომაკვდინებელ შეცდომათ მიგვაჩნია. ეროვნული მძულვარება ცუდი საზომი და სახელმძღვანელოა საერთაშორისო ურთიერთობაში...

ორპირი დიპლომატია, რომელიც სჩვევია ნაციონალისტებს, მიუღებელია დემოკრატიისთვის, მისი ენა პირდაპირია, ნათელი და სწორი. იგი წინასწარ არავის ბრალს არ სდებს მაგრამ, მტკიცეთ და აშკარათ ეუბნება, როცა სხვის ბოროტგანზრახვაში დამამტკიცებელი საბუთები აქვს ხელთ. ასეთია პოლიტიკა ჩვენი მთავრობის. ასეთია პოლიტიკა ე. გეგეჭკორის. და ნაციონალისტური სისინი და შეტევა მას ვერ გადახრევინებს ამ ნაცად, დემოკრატიულ ხაზს.

## პროვოკაციული ხმები

სახელმწიფოში ბევრი შეთხზული ხმები დადის სამხედრო მოქმედების შესახებ, დამაჯერებლად ამბობენ, თითქოს [illegible] ჯარები წინააღმდეგ მოქმედებენ [illegible]

[illegible]

ყოველგვარ გაუგებრობის თავიდან ასაცდენათ და ამ ყალბ და პროვოკაციულ ხმების გასაფანტავად საჭიროა მთავრობამ გამოაქვეყნოს ცნობები სამხედრო მოქმედების შესახებ.

## პრესა

ჩვენი ყოფილი ამხანაგები—გაზეთ „სოც.-დემოკრატის“ ჯგუფი—გამოეხმაურენ ომის ამბებს და თავისებურად ხსნიან მის მიზეზებს. ამ გაზეთის უკანასკნელ ნომრის მეთაურში ვკითხულობთ შემდეგ სტრიქონებს:

„რომ „სიტყვიერებას“ ყურადღება არ მივაქციოთ, არსება იმ დავისა, რომელიც ორთავე რესპუბლიკას შორის ხდება, არის ბრძოლა პოლიტიკურ და ეკონომიურ გავლენის გასაფართოებლათ, რაშიაც ორივე სახელმწიფოს გაბატონებული კლასებია დაინტერესებული“.

რათ არის დაინტერესებული ამაშა სომხის ბურჟუაზია, ამას წერილის ავტორი სწორეთ ხსნის. შემდეგ იგი გადადის საქართველოს რესპუბლიკაზე და ცდილობს დაამტკიცოს რომ ამ მხრითაც ომი დაწყებულია გაბატონებულ კლასების გავლენით. ეს კლასები საქართველოს რესპუბლიკაში ცდილობენ კარი ჩაუკეტონ სხვის კაპიტალს და უცხო ტომის ინტელიგენციას, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ქართულ ბურჟუაზიას და ქართულ ინტელიგენციას კონკურენცია არავინ გაუწიოს. მაგრამ ჰქონდათ კი გავლენა ამ კლასებს ომის დაწყების საქმეში? ერთის მხრით გამოდის, რომ ავტორის აზრით—ჰქონდა:

„რამდენადაც ეს სოციალური ჯგუფები გავლენას ახდენენ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაზე—და ეს გავლენა კი უეჭველად ძალიან დიდია,—იმდენად ეს პოლიტიკური ცხოვრება მიილტვის საქართველოს გამოცალკევების განმტკიცებისაკენ და როგორც საგარეო, ისე შინაურ ლობეების გამ გრებისაკენ“.

მაგრამ მეორე მხრით ავტორის სიტყვებიდანვე სჩანს, რომ გაბატონებულ კლასების ეს გავლენა სრულიად შეუმჩნეველი ყოფილა:

„და თუ ჩვენ ვერ ვამჩნევთ საქართველოს მთავრობას მხრით აგრესიულ მისწრაფებას, ეს იმით აიხსნება, რომ იგი უმეტეს ნაწილათ დაყრდნობილია გლეხობაზე, რომელსაც სრულებით არ ეჩნევა იმპერიალისტური სურვილი განწყობილება“.

მაშასადამე, ერთის მხრით საქართველოს რესპუბლიკის გაბატონებულ კლასებს აქვთ გავლენა—„ძალიან დიდიც“ კი—მეორე მხრით კი „არ ვამჩნევთ საქართველოს მთავრობის მხრით აგრესიულ მისწრაფებას“. თუ არც კი ამჩნევთ აგრესიულ მისწრაფებას, მაშ რაღაში გამოჩნდა გაბატონებულ კლასების „დიდი გავლენა“? ასეთს აზრთა-უზრის ჩიხს უნდა მოჰყვეს ყველა, ვინც ოპოზიციონერობის გამოსაჩენათ ორჭოფობას დაიწყებს და პირდაპირ არ იტყვის იმას, რაც სათქმელია.

საქართველოს გაბატონებულ კლასებს ძალიანაც რომ ნდომოდათ, საქართველოს დემოკრატიას ომს თავს ვერ მოახვევდა; ომის დაწყებაში დამნაშავეა მარტო და მხოლოდ

# დღეს

სადახლოსთან 22 დეკემბერს მთელი დღის განმავლობაში ძლიერი ბრძოლა იყო. შულავერში ჩვენს ჯარს ტელეგრაფი და გზები გაუფუჭეს. კერძოთ მიღებული ცნობის თანახმად ჩვენმა ჯარმა აქ მტერი დაამარცხა.

— —

გერმანიის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების ყრილობამ აირჩია აღმასრულებელი საბჭო 27 პირისაგან შემდგარი. დამოუკიდებელ ს. დ. საბჭოს არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღიათ.

— —

გერმანელთა საერთო მოთხოვნაა, რომ რეინის მიწები გერმანიას დარჩეს. ავსტრიის სილეზიაში ქალაქი გრობაუ ჩეხო სლოვაკებმა დაიკავეს.

— —

კენიგსბერგში მიტინგები იმართება და პროტესტს აცხადებენ აღმოსავლეთ პრუსიის ლიტვასთან ან პოლონეთთან შეერთების წინააღმდეგ.

— —

ჰინდენბურგი ახალ ფრონტს ჰქმნის მოკავშირეთა ჯარების წინააღმდეგ ნეიტრალური ხაზის 10 კილომეტრის უკან.

— —

შვეციის მთავრობამ აუწყა ფინლანდიის მთავრობას, რომ ალანდიის კუნძულის მცხოვრებნი სურვილს გამოსთქვამენ, რათა ეს კუნძული შვეციას შეუერთდეს.

---

სომხეთის მთავრობა და მისი ხელმძღვანელი პარტია.

„კუმ ფეხი გამოჰყო, მეც ნახირ-ნახირაო", ასე მოსდით ჩვენს სოციალისტ-რევოლიუციონერებს.

ბოლშევიკების ხმებმა და მასსის ერთი ნაწილის შეუგნებლობამ მათ შედარებითი გამარჯვება არგუნა ზუგდიდის მაზრის საერობო არჩევნებში.

და გაზეთი „შრომა" ამის გამო სიხარულით ცას დასწვდა და გაიძახის:

„მოწინააღმდეგეებმა ვერ შესძლეს საარჩევნო ხრიკებით ფონს გასვლა. დემაგოგიითა და ადმინისტრატიული აპარატის თავის სასარგებლოთ ამუშავებით, მოწინააღმდეგეებმა ვერ შესძლეს ჩვენი დამარცხება. მიწის მუშებმა უკვე შეიგნეს, რომელია მათი პარტია, ვინ იბრძოდა და იბრძოლებს მათი ბედნიერებისთვის, მათი სრულ გამოხსნისათვის. ამიტომაც მისცეს მათ ხმები ჩვენს პარტიას, ამიტომაც გამოგვიცხადეს მათ სრული ნდობა".

ჩვენ ვიცით, რომ საერობო არჩევნებში მაზრათა უმრავლესობა, ს. დ. ხმოსნებს ირჩევს, რომ სულ ერთი თუ ორი გამონაკლისია წინააღმდეგი შედეგებით, ისიც იმ ადგილებში, სადაც წინეთ ბოლშევიკურ აჯანყებას ჰქონდა ადგილი და სადაც ჩვენ იძულებული ვიყავით იარაღით შევსულიყავით. ესერების ადგილობრივი ძალები მაშინ ამ აჯანყებულებს ამართლებდნენ და მათ რეაქციონურ გამოსვლებს ექომაგებოდნენ. დღეს, როცა ამრჩევლებმა სამაგიერო გადაუხადეს, ეს პოლიტიკური ბრძენები ქვეყანას აყრუებენ—რევოლიუციონური ხმები მივიღეთ, გავიმარჯვეთო.

ჩვენ კი ვიტყვით: ამ შეუგნებლობის წინააღმდეგ საჭიროა ქადაგება, წიგნების შეტანა, ცოდნის გავრცელება, ვინაიდან ეს კუთხეები დღემდე მოკლებულნი იყვნენ სკოლასაც და სიტყვის ქადაგებასაც. ესერებს კი ვურჩევთ თავის „გამარჯვების" ყიჟინისათვის უფრო სხვა სერიოზული საბუთი ექმნათ და უადგილო ყოყლოჩინობით თავს ნუ ირცხვენენ.

---

# ბრძოლის ველი

(სამხედრო შტაბის ცნობა).

**22 დეკემბერი.**

ღამე ფრონტზე მშვიდობიანათ ჩატარდა. დღით ხანგამოშვებით სროლა იყო.

**23 დეკემბერი.**

გუშინ სადახლოსთან მთელი დღის განმავლობაში ძლიერი ბრძოლა იყო. მტრის ძლიერი ძალა შეტევას აწარმოებს სადახლოსთან. შემოტევის დროს სოფელ შულავერის მცხოვრებლებმა გააფუჭეს ტელეგრაფი და რკინის გზა რამდენიმე ადგილას. ბრძოლა გრძელდება. მიღებულია სათანადო ზომები.

**ბორჩალოს ფრონტი**

14 დეკემბერს სამხედრო მინისტრის ბრძანების თანახმად გავემგზავრეთ სანაინისაკენ. ღამის 1 საათზე მივედით სადგ. ახტალაში (24 ვერსით სადგ. სადახლოდან): იქ გავიგეთ, რომ ჩვენი ჯარი სადგურ ალავერდიდან მოდის ახტალისაკენ. ხმა დადიოდა, რომ სომხებს ჩვენებისთვის რკინის გზა გაუფუჭებია და ერთი ჩვენი ჯავშნიანი მატარებელი ლიანდაგს გადასცდენოდა. მე რამდენიმე მოხალისეებით წავედი წინ ჩვენების შესახვედრად და ამბავის დანამდვილებით ასაგებათ.

მე 4 ვერსზე ალავერდისაკენ შევხვდი ჩვენს ეშელონებს, ალავერდიდან მომავალს. ეშელონები ქვეითად შემოვიდნენ ახტალაში. . ღამის 1 საათიდან ტელეფონი ტელეგრაფი თფილისისაკენ აღარ მუშაობს; ჩანს, უკან გზას გვიკეტავენ. ჯავშნიანს ამოღება უნდა. ეშელონები ახტალაში უნდა შემოვიყვანოთ. კვირას დილიანათ მუშებ ტეხნიკების ენერგიული მუშაობით შევუდექით ლიანდაგის გასწორებას. ჩვენ ვართ გაშლილ ადგილას. როგორც ხელის გულზე, ისე ყოველივე ჩვენ ნაბიჯს ირგვლივ შემორტყმულ მწვერვალოებიდან ხედავს მტერი, და დილიდანვე იწყებს სროლას...

მუშები ფრთხებიან. ჩვენ მათ გასამხნევებლათ თოფით ხელში გავდივართ ჯავშნიანის წინ და სროლითვე ვუპასუხებთ. მუშაობა ტყვიების ზუზუნში გრძელდება. ამ დროს სადგ. ახტალას კოხივით აყრის ტყვიებს მოწინააღმდეგები, ამ მთებში საიმედოთ მოკალათებულა და თითო გამოსროლილი ტყვია იშვიათად სცდება მიზანს. 16 საათზე, კვირას, გზა გასწორებულია. ჯავშნიანი ამოვიღეთ, ეშელონები მშვიდობიანათ შემოვიდა სად. ახტალაში... ღამდება და სროლაც თანდათან წყნარდება. ჯავშნოსნები ვ. გოგუაძის ხელმძღვანელობით ნელა, დინჯათ მიჩოჩავენ სადგურის წინ და ტყვიის მფრქვეველებით ზვერავენ ირგვლივ მთის კალთებს. მდგომარეობა მწვავდება. კვირას გელოდით დამხმარე ჯავშნიანს თფილისიდან,—არ არის, ალბათ გზა გააფუჭეს—რაც მართალი გამოდგა. კვირა საღამოს წამოსვლას ვეპირებით, გავგზავნეთ ორთქმავალი თფილისისაკენ გზის დასაზვერავად, მეორე ვერსზე, ორთქმავალი გადავარდა ლიანდაგიდან, გზას გვიფუჭებენ, ჩვენ მოგვწყვიტეს თფილისს. აღარც მარცხნით, აღარც მარჯვნით, წინ და უკან მთებიდან ტყვიებს გვაყრიან ჩვენ გამომწყვდეული ვართ. მაგრამ სულიერი მდგომარეობა არ ირყევა. ჩვენ მაინც ველით მაშველ ჯარს, ესეც რომ არ იყოს, ბრძოლით გამოვალთ, ამის იმედი გვაქვს. ეხლა ვემზადებით ხვალინდელ დღისთვის, დღეს, 15-ს, რამდენიმე მოგვიკლეს. რამდენიმე დაგვიჭრეს. ჯარი და ჯავშნიანი გვარდიელები ხელი-ხელ ჩაკიდებული, ძმურად, გმირულად იბრძვიან, ერთმანეთს ვამხნევებთ... ღამეა მთვარიანი, მწვერვალოები ხან ნისლში გაეხვევა, ხან ამაყათ თავ ღიათ დაგვყურებენ და ხვალინდელ დღისთვის სიკვდილის გამოსაგზავნათ მზათ არიან. გათენებამდის კანტიკუნტათ მოისმის სროლა. ვის დაეძინება. პაწია სადგურის შენობა სავსეა ადგილობრივი მოსამსახურეებით, ჩვენი შტაბით, ჯარისკაცებით, დაჭრილებით, მკვდრებით, რომლების გამოტანაც მოვასწარით პოზიციებიდან, ჩვენთან არიან. ისვენებს ყველა, ყველაფერი, სიკვდილს დუმილი გადაჰფარვია მშვენიერ არე-მარეს...

ორშაბათი, 16 დეკემბერი.

პოზიციები დაჭერილი გვაქვს. გაუბის ზარბაზანი მზათ არის სიკვდილი გაუგზავნოს ჩვენს ვერაგ მტრებს. ჯავშნოსნები ნელ ნელა იწყებენ ლიანდაგზე სრიალს, 8 საათამდე მტერი სდუმს. 8 საათიდან კი იწყება სროლა და ტყვიები სეტყვასავით აცვივა ყველა შენობებს. ჩვენი ზარბაზნები, ტყვიისმფრქვევლები პასუხს აძლევენ. მტერი სადგურს აღარ ინდობს, კარებში მტრის ტყვიით კვდება სანაინის უფროსი მილიციონერი, დაიჭრა ბაგშვი, რკინის გზის მოხელე. დადგა ჯოჯოხეთი და ამ ჯოჯოხეთში ამაყათ დინჯათ დასრიალებენ ჯავშნოსნები. მოისმის გვარდიელების გამამხნევებელი ძახილი, დრო გამოშვებით სიცილი და შემოძახება: ყოჩაღათ ბიჭებო! მაგრე, მაგრე მაგ მუხანათებს, ჩაგვიგდებს ხელში განა!? ვერა, ვერ მოესწრებიან... სახელოვანათ გავკვეთთ მათ ალყას... მარცხენა ფრთაზე მდიდარ არამიანცის სასახლეა. იქიდან ტყვიებს გვაყრიან. ჯავშნიანი და გაუბის ზარბაზანი აგზავნიან იქით რამდენიმე ყუმბარას... იქიდან აღარ გვესვრიან... სროლა არ ჩერდება... მტერი გადადის მარჯვენა ფრთიდან და უნდა შემოგვიაროს მარცხნივ. მოდიან 12—25 მდე ჯგუფ ჯგუფათ. ისმის მათი რუსული ბრძანება (კომანდა): „Взводъ! . впередъ, ребята смѣлѣе!"—ნამდვილი რუსული აქცენტით. ჩვენ ცნობა გვაქვს, რომ ბევრი რუსის აფიცრობა არის მოწინააღმდეგის ჯარში... მოდიან დაფა ზურნით, ალბათ, წინდაწინ დღესასწაულობენ გამარჯვებას, ჩვენ ტყვეობას... ღამდება, სროლაც ნელდება მდგომარეობა რთულდება. ველარ გვეშველებიან, მოაქვთ ცნობები მოკლულების, დაჭრილების, უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შესახებ.. იმართება სამხედრო თათბირი. უმრავლესობა სწყვეტს ფრონტის გარღვევით წასვლას. მთებით თუ რკინის გზით? აი დიდი საკითხი. რომელი გზითაც არ წავიდეთ, უბრძოლველათ ვერ გავალთ, მთებით უარესია, უფრო დავმარცხდებით... იმარჯვებს რკინის გზით წასვლის აზრი.. ბევრს ცრემლი და ბოლმა ახრჩობს... მძიმე დაჭრილები რჩებიან, მკვდრების დამარხვას ვერ ვასწრებთ. მდგომარეობა ტრაღიკულია, სულიერი ტანჯვა უსაზღვრო... ადგილობრივ მოსამსახურეებს წინადადებას ვაძლევთ, ვისაც სურს წამოვიდეს... ბევრი მოგვყვება. ბევრი რჩება. მძიმე დაჭრილებს ვაბარებთ ადგილობრივ ფერშალს. ვუტოვებთ დარჩენილებს ტანისამოსს, საჭმელ-სასმელს. ჩვენ მივდივართ, მაგრამ ადრე თქვენთან ვიქნებით მეგობრებო... გამხნევდით... მოუარეთ ჩვენ მკვდრებს, მოუარეთ ჩვენს დაჭრილებს... ღამის 11 საათზე სამხედრო წესით დაწყობილნი ვტოვებთ სად. ახტალას... მე-5 ვერსზე აგვიტეხეს სროლა, მთებიდან მოზუზუნობენ ტყვიები, ჩვენ მწკრივათ მივდივართ... იქვე ვსაფრდებით და ვანთებთ ტყვიების ცეცხლს. მოწინააღმდეგე დუმდება, ჩვენ წინ მივიწევთ... სად. აირუმამდე თითქმის ყველა ხიდები დამწვარია. ან იწვის... ლიანდაგზე დიდრონი ლოდები ჰყრია, კლდიდან დაღუპით განახეთქი... ზოგან ასაფეთქებელი მასალა (პერაქსილინები) ჩაუდვიათ ჩვენდა ასაფეთქებლათ... იწვის სად. აირუმი... აქვე არის ცარიელი ვაგონები. ამბობენ აქ ჩვენი მაშველი ჯარის ნაწილი დაუტყვევებიათ მტრებს.. რამოდენიმეც მოუკლავთ. ვუახლოვდებით სადახლოს... ჩვენი მზვერავები შეხვდნენ ჩვენი ჯავშნიანს მზვერავებს... „ჩვენ, ვართ ჩვენ, ბიჭებო... მტრებო არ გეგონოთ... ერთმანეთს ვეხვევით—ცოცხლები ხართ?—გვეკითხებიან, ხელს გვიჭერენ, გვეხვევიან, თქვენ... თქვენზე გვითხრეს ყველანი ამოგწყვიტეს, ამაგხოცესო.. არა, ამხანაგებო, ჩვენ გავარღვიეთ მტარვალების რკალი... მაგრამ... ზოგი ამხანაგი იქ დაგვრჩა-თქო... (ცრემლი, დუმილი, სევდა, სიმწვევე, იმედი...

დილის 6 ნახევარ საათზე სადახლოში ვართ... ორი დღის (15 და 16 დეკემ.) განმავლობაში მოკლულთა რიცხვი ათამდეა, დაჭრილების 25—30 მდე. მოკლულთა შორის ჯავშნოსნების გვარდიელები: მ. ჩიქოვანი, პ. ჩიქვაიძე. დაჭრილები: მოსეშვილი, მ. ვადაჭკორია, ა. ნიკოლაიშვილი, ნიკოლაიშვილი, არ ჯიქაიძე, ბ. ყაჭიშვილი. ჯარის ნაწილებიდან მოგვიკლეს ჯ.-კაცები: ხოშტარია, რუხაძე. დაჭრილი ოფიცრები: შ. ნაკაშიძე, გოცირიძე, ერისთავი. დანარჩენ მოკლულ დაჭრილების გაგება შეიძლება ბორჩალოს მაზრის საგენერალ გუბერნატოროში, გენერალ წულუკიძესთან, ან სამხედრო სამინისტროში.

P. S. აღსანიშნავია გმირული მოქმედება მემანქანე მიხეილ ნანიტაშვილისა.

დ. ქარ—ძე.

18 დეკ. 1918 წ.

---

# ჩვენი ჯარისთვის

(საშობაო საჩუქარი ფრონტზე მყოფ სახალხო გვარდიის, რეგულიარულ და მოხალისეთა რაზმების ჯარისკაცთ)

ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ თავის მხრივ გადადო ამ საქმისათვის 50,000 მანეთი. ეჭვს გარეშეა, რომ არც ერთი მოქალაქე არ აიცდენს თავიდან ამ ფრიად საჭირო, საჩქარო ზნეობრივად სავალდებულო დახმარებას მებრძოლ ძმათათვის. დახმარება მიიღება: ფულით, გამოშრობილი პურით (სუხარი), კონსერვით, სხვადასხვა სასმელებით, თუთუნით, თუთუნის ქაღალდი, პაპიროსი, ჩაი-შაქარი, თბილი ტანისამოსი, საცვლები, ფეხსაცმელი, თბილი წინდები, ძაფი, ლიდი და სხვა. შემომწირველთა სია ყოველ კვირა გამოქვეყნდება გაზეთებში. შემოწირულება მიიღება ყოველ დღე ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების კანტორაში, სასახლის ქ. № 5.

— —

საქველმოქმედო საზოგადოების მთავარმა გამგეობამ საქართველოს ჯარისათვის მიიღო შემოწირულება შემდეგ პირებისაგან: გენ. ილ. ოდიშელიძისაგან 1 ბოთ. კონიაკი და 4 გირ. თამბაქო, ალ. ჯაბადარისაგან 500 მან., ამხ. „საერობისაგან" 500 ბოთ ღვინო, სარაჯიშვილის კანტორიდან 240 ნახ. ბოთლი კონიაკი, მარ. აბრამიშვილისაგან 4 გირ. თამბაქო და 2 პაჭკა წუმწუმა, აბრ. ბუზიაშვილისაგან 5 ათასი პაპიროსი, მარიამ, ელისაბედ და ვახტანგ მაჩაბლებისაგან 75 მან., ალ. ი. ფირალიშვილისაგან 1000 მან., ტ. თ. მარგველაშვილისაგან 500 მან., ნ. ცერეთლისაგან 50 მან., ქ. ა. სოლოლოვისაგან 50 მან., სოფ. ნიკ. ლობინსკაიასაგან (ვერცხლით) 35 მან.

მთავარი გამგეობა უღრმეს მადლობას სწირავს შემომწირველთ.

---

# ბრძანება

საქართველოს რესპუბლიკის ჯარების მიმართ
21 დეკემბერი 1918 წელი
№ 120

ვაცხადებ საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო უწყების ყველა ჯარისკაცთა და ოფიცერთა საყურადღებოდ, რომ ფრონტიდან ან საზოგადო ჯარების ნაწილებიდან გაქცეულნი თავის უფროსის საბრძოლო ბრძანების არ შემსრულებელნი, და ყველა ისინი, ვინც ჯაშუშობს და საზღვრით ხაზინის საწინააღმდეგო აგიტაციას ეწევა, სიკვდილით დაისჯებიან.

სამხედრო მინისტრი გ. გიორგაძე.

---

# ძეგვის ხიდის აფეთქების საქმე

პირველი დღე, 21 დეკემბერი.

პროცესის პირველ დღეს ბევრ მაყურებელს იზიდავს, მაგრამ სასამართლოს დარბაზი სავსეა ისეთი ხალხით, რომელიც ჩვეულებრივ ძალიან შორს სდგას პოლიტიკურ ცხოვრებასთან—მაღალ წრის მანდილოსნებით. ეს აიხსნება ბილეთების განაწილების წესით, თუ სხვა რაშით—ძნელი სათქმელია. სხვათა შორის, ორი ინგლისელიც ესწრება პროცესს, მაგრამ საბრალმდებლო ოქმის კითხვის დროს უეცრად მიდიან ეს უცხო სტუმრები. ბევრს აინტერესებს—არის ეს პოლიტიკურ მნიშვნელობის აქტი, თუ უბრალო ცნობის მოყვარეობით გამოწვეული შემთხვევა—მაგრამ კითხვა კითხვათ რჩება.

თითონ საბრალმდებლო ოქმში არის ნაჩვენები, თითქოს ინგლისის მისიას ჰქონდეს რაიმე კავშირი ხიდის აფეთქებასთან; ერთი ბრალდებულთაგანი—შმავაილოვი, რომელმაც დაჭერის დროს შაროშინათ გაეცნო თავის მილიციას, გამომძიებელს უჩვენებს: მე დამოკიდებულება მქონდა ხიდის აფეთქებასთან, მაგრამ პირობა მქვს დადებული ზოგიერთ პირების წინაშე და ამ პირობის ძალით და გარეთვე სანამ ინგლისის მისიისაგან არ მივიღებ ინსტრუქციას, დაწვრილებით ჩვენებას ვერ მოგცემთ. კუჩარიანცს და კიურილიანცს, როგორც საბრალმდებლო ოქმიდან ჩანს, უარუყვიათ დანაშაული. საბრალმდებლო ოქმის გადმოცემით საქმე ასე ყოფილა:

1 ნოემბერს დილის ოთხ ნახევარ საათზე, რკინის გზის ყარაულებს ალვიძებს აფეთქების ოთხი საშინელი ხმა, გრგვინვის მსგავსი. აფეთქების ხმაზე მოდის ძეგვის კომისარი მილიციონერებით და გლეხების თანხლებით. მოდარაჯე სალდათებს თურმე სძინებიათ, მხოლოთ გზის ერთი დარაჯი იმყოფებოდა დარაჯ გედრეკილაძის გვამთან, რომელიც გარდაცვლილა ხიდის აფეთქების წინა საღამოს, ოთხი დღის ფეხზე ავათმყოფობის შემდეგ. დაუთვალიერებიათ ხიდი, რომელიც საგრძნობლათ დაზიანებული აღმოჩნდა. იქვე უპოვიათ აუფეთქებელი დინამიტი, დასაკეცი არშინი, ფისტონები და კალათა, რომელშიაც აღმოჩენილა ცარიელი ღვინის ბოთლი, პურის ნატეხები და სხვა. დამნაშავეების კვალისთვის ვერ მიუგნიათ.

იმავ პირველ ნოემბრის სიღამოს ერთ ძეგველ გლეხს ტყეში—ხიდიდან, ასე ოთხი ვერსის მანძილზე შეხვედრია ორი კაცი—ერთი რუსი, ერთი სომეხი, დამალულნი. სომეხს უკითხავს გზა კავკავზე და თფილისზე, ხოლო გლეხს, რადგან მან ხიდის აფეთქების ამბავი იცოდა, ეჭვი შეჰპარვია ამ ორი კაცის ვინაობაში და კომისრისთვის განუცხადებია რაც ნახა. შეუკრავთ გზა. ჯერ დაუჭერიათ რუსი—შაროშინ-შმავაილოვი, შემდეგ კუჩარიანცი, რომელიც მაუზერით იგერიებდა დამჭერთ. რუსს უთქვამს—მე შაროშინი ვარ, ამხანაგებს წამოვყევი საექიმოთ, დამათვრეს და გამძარცვეს, თუმცა ჯიბეში ფულიც და ბეჭდებიც აღმოსჩენია; კუჩარიანცს უთქვამს: სურსათსანოვაგეს საყიდლათ წამოვედი თფილისიდან, გზა დავკარგე და უგზო უკვლოდ დავეხეტებოდი, დაჭერის დროს წინააღმდეგობა იმიტომ გავწიე, მეგონა ყაჩაღები თავს მესხმიანო. შაროშინ-შმავაილოვმა და კუჩარიანცმა აღიარეს, რომ ტყეში ერთად გაატარეს დრო.

კიურილიანცი დაუჭერია სისხლის სამართლის მილიციის უფროსს, როცა ის სასტუმროში რუბენ ჩალხუშიანის ბინას ჩხრეკდა. სახლში ყოფილა რუბენ ჩალხუშიანის ცოლი როზინნა ჩალხუშიანი. ჩხრეკის დროს სასტუმროში მოსულა ერთი კაცი წერილით და უკითხავს: რუბენი სახლშია? ცოლს რაღაც უთქვამს სომხურად და ეს კაცი უკან გაბრუნებულა წერილით, მაგრამ დაუბრუნებიათ და დაუჭერიათ. ეს კაცი აღმოჩენილა აკოპ კიურილიანცი, დაშნაკცუტიუნის პარტიის წევრი აკოპ კიურილიანცი. წერილი გამოუგზავნია რუბენ ჩალხუშიანს თავისი ცოლისათვის, რომელსაც სწერდა, საქმე ცუდათ არისო...

საბრალმდებლო ოქმის წაკითხვის შემდეგ, როგორც მიღებულია, თავმჯდომარე ეკითხება ბრალდებულთ: სცნობენ თუ არა ისინი თავს დამნაშავეთ და რა სურთ სთქვან ამ საქმის გამო.

პირველად პასუხს იძლევა შმავაილოვი. ის თითქმის ორ საათს ლაპარაკობს. ლაპარაკობს მწყობრად და დალაგებულად, მაგრამ მის ნალაპარაკევში ძალიან ცოტაა შინაგანი ლოღიკა და აზრი. ძნელია იმის თქმა, დაუწერია ეხნემ მას ეს სიტყვა, თუ თითონ მოიგონა. მაგრამ ერთი რამ მაყურებლისათვის აშკარაა: ის თავს, ასე ვსთქვათ, უზრუნველყოფილად სთვლის და სცდილობს გამოიხსნას ის ორი ბრალდებული, რომელიც მარცხნით და მარჯვნით უსხედან—კუჩარიანცი და კიურილიანცი. მაგრამ თავის გრძელ სიტყვაში ორს დიდ შეუსაბამობას ამბობს: ის გაკვირვებას გამოსთქვამს: როგორ მოხდა, რომ მას ბრალს სდებენ, თითქოს საქართველოს სამტრო საქმე ჩაიდინა, როცა მისი მოქმედება მიმართული იყო გერმანიის წინააღმდეგ. მე მეგონა, რომ გერმანიის ხაროლობა გამასამართლებდა და არა საქართველო, რომელიც მე გულით მიყვარს, რადგან აქ გადავურჩი მე ბოლშევიკურ ტერორს. გარდა ამისა, [illegible] ხიდის აფეთქებამ—გამოიწვია რამდენიმე დღით მიმოსვლის შეწყვეტა, მაგრამ [illegible] უხვათ დაფარავს ის სარგებლობა, რომელიც მე მოვუტანე საქართველოს ხიდის აფეთქებით: გერმანელებმა აფეთქების გამო ვერ მოახერხეს მრავალი სურსათის გატანა, რაც საქართველოში დარჩებაო. კუჩარიანცს, რომლის გადარჩენასაც ასე სცდილობს, შმავაილოვმა ასეთი სამსახური გაუწია: მან აღნიშნა, რომ კუჩარიანცი მას შემთხვევით შეხვდა ტყეში. როცა დაჭერის წინ სროლის ხმა მოისმა, კუჩარიანცმა შკითხაო: რას იტყვი, რომ გკითხონ საით მიდიხარო. რა საჭირო იყო ასეთი კითხვა, თუ კუჩარიანცი შმავაილოვის მონაწილე კი არ არის, არამედ—სურსათის საყიდლათ იყო წამოსული? როცა გზა დავკარგეთ,—განაგრძობს შმავაილოვი, მე განვიზრახე კომპასის შემწეობით გამეკვლია არემარე, მაგრამ სიბნელის გამო ვერ შევსძელიო. კუჩარიანცი გამიბრაზდა და შემომიკურთხა: შენ და შენი კომპოზატორიო. შმავაილოვის გადმოცემით ორჯელ გაჯავრებულა კუჩარიანცი კომპასზე და ორივეჯერ კომპოზატორათ უხსენებია ის. ჩვენ კი ვიცით, კუჩარიანცის ჩვენებიდან, რომ ის ხელობით ზეინკალია და გამგე სომეხთა ეროვნულ საბჭოს საავტომობილო ნაწილის. და განა დასაჯერებელია, რომ საავტომობილო ნაწილის გამგეგმ არ იცოდა რა არის კომპასი, ან მისი სახელი, როცა ეს უბრალო შოფერმაც კი იცის?

კიდევ ერთი დამახასიათებელი ამბავი შმავაილოვის ჩვენებიდან. ის დაწვრილებით მოუთხრობს სასამართლოს, თუ როგორ შეითვისა მან გერმანიის სიძულვილი. გროდნოში ვმსახურებდი 1911 წლიდან და კარგათ ვგრძნობდი, თუ როგორ ემზადებოდნენ გერმანელები ომისთვის. იმათი მეცნიერები ბროშიურას ბროშიურაზე სწერდენ და ქადაგებდნენ, რომ რუსეთთან ომი საჭიროა მთელი სისასტიკით, მე ვხედავდი, რომ თითონ რუსეთში ყველა დაწესებულებაში ნემეცი აგენტები მსახურებდნენ. როცა ვარშავა დავტოვეთ, ცხადათ ვხედავდი, რომ დავტოვეთ არა სისუსტით, არამედ გერმანიის შპიონაჟის წყალობით. რევოლიუციამ შვება მაგრძნობინა, რადგან მოველოდი, რომ რუსეთი განახლდება და მტერს აჯობებს, მაგრამ იმედი არ გამიმართლდა: გერმანიის აგენტებმა აქაც არიეს საქმეო. განვიზრახე ამერიკის ჯარში შესვლა, რადგან ვხედავდი, რუსის ჯარი ხეირს ვერ იზამს, ამერიკამ უარი მითხრაო. მოვედი კავკასიაში და აქ განვიზრახე ინგლის-საფრანგეთის ჯარში შესვლა, მაგრამ მითხრეს: შენ უფრო მეტ სარგებლობას მოგვიტან, თუ ზოგიერთ მონდობილებას იკისრებო. ეს მონდობილობა იყო შემოქმედნა კავკასიაში, როცა ის ბრძოლის ველი გახდებოდა: შემეწყვიტა გზები მთებში (სხვათა შორის როკის ულელტეხილი დავათვალიერე ოსეთში) და ხელი შემეშალა გერმანიის სურსათის გაზიდვაში და ჯარის შემოყვანაშიო.

როცა გერმანია შემოვიდა აქ, მე ვიცოდი რომ ბუნებრივი არ იყო კავშირი დემოკრატიულ საქართველოსა და საიმპერატორო გერმანიას შორის. ამ საქმეში დიდ სამსახურს მიწევდა რუბენ ჩალხუშიანი, რომელიც ჩემსავით მტერია გერმანიის და მეგობარი რუსეთის. ამ ჩვენებაში, რომელსაც ერთგვარი ცინიზმით მოუთხრობს სასამართლოს შმავაილოვი, ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება: რატომ ბ. შმავაილოვმა და ჩალხუშიანმა პირველ ნოემბრამდე არ ააფეთქეს ხიდი, თუ მათი მოქმედება მართლა მიმართული იყო გერმანიის წინააღმდეგ. შმავაილოვი ამბობს, რომ გერმანელებმა შეიძინეს ასი ათას ფუთობით თივა, მატყლი, ხორბალი და სხვადასხვა ნედლი მასალა და სურსათ სანოვაგე რატომ პირველ ნოემბრამდე არ ააფეთქეს ხიდი და ააფეთქეს პირველ ნოემბერს, როცა ბევრი აღარაფერი დარჩენოდათ გასატანი? შეაჩერებდენ რაღაც ერთ-ორ ეშელონის მოძრაობას, მაგრამ ეს ხომ იმას ემსგავსება, გლეხმა რომ თქვა: საკინძე ხომ მაინც დავაგლიჯეო. ნუ თუ დიდი ინგლისი „საკინძის დაგლეჯაზე" შეიწუხებდა თავს? და რას ნიშნავს ეს მხურვალე მონაწილეობა დაშნაკცუთიუნის პარტიის წევრების? სომხეთი ხომ ამ დროს დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო და იმს არ აწარმოებდა არც ინგლისთან ერთათ და ვერც იმ ერთ ცხოველივით ინდომებდა მომაკვდავ ლომისთვის წიხლი ჩაეცა?

უნებლიეთ იბადება კითხვა: ნუთუ ეს აქტი მიმართული არ არის პირდაპირ საქართველოს წინააღმდეგ?

მეორე დღე, 22 დეკემბერი.

ეს დღე უფერულად ჩატარდა. დაკითხულ იქნა ცხრა მოწმე, ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ თითქმის მარტო ბრალდებულ შმავაილოვს აძლევენ კითხვებს: და ის ხელოვნურათ ხდება მთელი პროცესის ცენტრალურ პიროვნებათ.

სხდომა დაიწყო 12 საათზე. მოწმე გომართელი (მაზრის კომისარია) ამბობს: გუბერნიის კომისარმა მე მიბრძანა ხიდის აფეთ-

ქების შემდეგ მიმელი დამნაშავეთა მოსაძებნათ საჭირო ზომები. 1 ნოემბერს ხალხმის გამოირკვა, რომ ერთ სოფლელს უნახავს ორი საეჭვო კაცი ტყეში, იქ წავედით. მიდიოდნენ მილიციონერები და ადგილობრივი გლეხებიც. დავიჭირეთ ერთი რუსი (შმაგაილოვი) მან თავის თავს უწოდა შაროშინი, როცა გამოვკითხეთ, შაროშინმა გვიამბო, რომ ის შეიტყუეს ავაზაკებმა ერთ რესტორანში, დაათვრეს და ფულები წაართვეს, მოწმე სწერს შაროშინის გარეგნობას და მის ტანისამოსს. ამ დროს გაისმა სროლა. შაროშინთან დავტოვეთ რამოდენიმე მილიციონერი და გავეშურეთ იქითკენ, საიდანაც მოისმოდა სროლა. მე შორს ვიყავი და არ ვხედავდი პირველად ვინ ისროდა, გამოირკვა, რომ ისროდენ გლეხები და ისროდა. აგრეთვე კუჩარიანცი მაუზერიდან. როცა მივუახლოვდი, დავინახე, რომ კუჩარიანცი პირდაპირ დამჭერთ ესროდა. შემდეგ ეს იძულებული იყო დანებებოდა მილიციონერებს, მაუზერი ცოტა დაზიანებული აღმოჩნდა და სროლა ძალიან ძნელი საწარმოებელი იყო. კუჩარიანცს „ობოიმში“ არ ჰქონოდა მეტი პატრონები და ამიტომ მიატოვა სროლა.

**თავმჯდომარე.** თქვენ ჰკითხეთ თუ არა კუჩარიანცს, იცნობს თუ არა შმაგაილოვს და თუ იცნობს, სად იყვნენ ერთად?

**მოწმე.** ვკითხეთ. კუჩარიანცმა სთქვა, რომ შმაგაილოვს გავეცანი თფილისის სადგურზე, ერთად წამოვედით სურსათის საყიდლად, ხოლო შმაგაილოვმა განაცხადა, რომ ის კუჩარიანცს არ იცნობდა.

**ჟორდანია** (სისხლის სამართლის მილიციის უფროსი) მე იუსტიციის მინისტრის დავალებით მოვახდინე ჩხრეკა სასტუმრო „ორიანტის“ მე 48-ე ნომრის, სადაც ცხოვრობდა ჩალხუშიანი. ჩემთან იყო ორი თანამშრომელი საგანგებო რაზმიდან. რუბენ ჩალხუშიანი ბინაზე არ აღმოჩნდა. იყო მისი ცოლი. ჩხრეკის დროს შემოვიდა ერთი კაცი, რომელმაც იკითხა: „რუბენი სახლშია“? ჩალხუშიანის ცოლმა სომხურად რაღაც უთხრა და ის იყო კილურმიანცი ბრუნდებოდა პაკეტითვე უკან. მე შევაჩერე და პაკეტი გამოვართვი. ჩალხუშიანის ცოლი პირველად ამბობდა, რომ პაკეტი ჩვენი არ არისო, მაგრამ მერე კი ბევრი მემუდარა გამეხსნა ის, მაგრამ მე კილურმიანცი და პაკეტი შინაგან საქმეთა მინისტრს წარუდგინე. ხოლო წერილის მომტანი, რომელიც აღმოჩნდა კიურილიანცი დავაპატიმრე.

შემდეგ ჩვენებას იძლევიან **ცაგურია** და **საყვარელიძე**. ისინი ამბობენ, თუ როგორ გაიგეს ხიდის აფეთქება: აღნიშნავენ, რომ ისინი იყვნენ მიცვალებულთან, რომ ყველა მატარებლებმა გაიარეს.

მათ ეკითხებიან: შეიძლება თუ არა რაიმე სანოვაგის ყიდვა მცხეთის რაიონში, ანუ სოფელ ძეგვში. მოწმეები კატეგორიულად აცხადებენ, რომ არაფერის ყიდვა არ შეიძლება.

**მოწმე დურგლიშვილი.** 5 ნახევარ საათზე ხიდმა იფეთქა. მე ძალიან გამიკვირდა. ასეთ რამეს არ მოველოდი.

**თავმჯდომარე.** თქვენ ერთი კვირის წინ, ხიდის აფეთქამდე, ხომ არ გინახავთ ვინმე კაცი, რომელიც ხიდს ათვალიერებდა.

**მოწმე** როგორ არა, ბატონო, ვნახე ერთი კაცი, რომელსაც თავზე თმა ნაკლებად ჰქონდა, ჩექმები და მოკლე პალტო ეცვა, რუსის გამომეტყველება ჰქონდა, გაიარა, ხიდს გადახედა, მაგრამ მე რა ვიცოდი ბატონო, თუ რა ედო მას გულში. თფილისიდან მოვიდა და შემდეგ ისევ უკან გაბრუნდა. მარტო იყო, მასთან სხვა არავინ არ ყოფილა.

**თავმჯდომარე.** ახლა იცნობთ, რომ გიჩვენოთ ის კაცი? აბა, იქით გაიხედეთ!

**დურგლიშვილი.** როგორ არ ვიცნობ, ბატონო! აი ის არის, კარებთან რომ ზის (უჩვენებს შმაგაილოვზე).

**შმაგაილოვი** უარყოფს ამ ფაქტს და ამბობს, რომ საგანგებო რაზმში რომ დავყავდით ოთახიდან ოთახში წინასწარ გამოძიების დროს, მაშინ ბორკილებში ვიყავი და ყველა გლეხებმა იცოდნენ, რომ მე ვიყავი ხიდის ამფეთქებელი. ამიტომ ყველა ახერხებდა ჩემს გამოცნობას.

**ბრალმდებელი.** დინამიტი ვინ იშოვა?

**ბრალდებული.** ჩალხუშიანმა.

**ბრალმდებელი.** ფულით იყიდა?

**ბრალდებული.** არ ვიცი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ორ ფუთ დინამიტს ბევრი არ სჭიროდა ფული.

**ბრალმდებელი.** სად შეხვდი შენ კუჩარიანცს?

**ბრალდებული.** კუჩარიანცს მე შევხვდი ტყეში. მკითხა: სად მიდიხარო, თფილისში-მეთქი. აბა, ერთად წავიდეთო.

**თავმჯდომარე.** გქონდათ თუ არა სურვილი, რომ ის კაცი თქვენი თანამგზავრი არ ყოფილიყო.

**ბრალდებული.** მქონდა, მაგრამ როგორ გავუმხელდი. მე ვცდილობდი როგორმე წმინდა კაცად მეჩვენებინა მისთვის ჩემი თავი.

**თავმჯდომარე.** რამ დაგაახლოვათ თქვენ ჩალხუშიანთან?

**ბრალდებული.** მე მასთან დაახლოვებული არ ვიყავი, მხოლოდ, როცა მე კომისიონერობას ვეწეოდი, მაშინ გავიცანი ჩალხუშიანი და ერთად ვაკეთებდით საქმეებს.

**ბრალმდებელი.** რა საშუალებით არსებობდით?

**ბრალდებული.** მე საკმაოდ უზრუნველყოფილი ვიყავი მატერიალურად. მე თან დამქონდა რამოდენიმე ათეული ათასი მანეთი. ახლაც მაქვს 20 ათასი მანეთი.

**მოწმე ფეიქრიშვილი.** მე გზის დარაჯათ ვიყავი. იმ ღამეს მე ვიყავი მორიგეთ, ყველა მატარებლებმა გაიარეს ღამის ორ საათამდე. დილას საზარელი ხმა მომესმა.

**მოწმე წულეისკირი** ლაპარაკობს, თუ როგორ მოახდინეს სასტუმრო „ორიანტის“ მე 48 ნომრის ჩხრეკა.

**მოწამე სუხიაშვილი** ამბობს: პარასკევ დილას მოხდა ხიდის აფეთქება. მე იმ დღეს შეშის მოსაჭრელად ტყეში წავედი. შემოხვევით ვნახე, რომ ორი კაცი გამოიყურება ჩირგვებიდან. პირველად დათვი მეგონა. მაგრამ მერე ჩემთან მოვიდა ერთი სომეხი და დამიწყო გამოკითხვა, თუ რომელი გზა მიდიოდა ვლადიკავკავისაკენ, მერე მკითხა—თფილისის გზა. მე წამოვედი და ვუთხარი სოფლის კომისარს. ის იყო სოფლელები და კომისარი მილიციონერებით წავედით იმ ადგილისაკენ, სადაც ისინი ვნახე, მაგრამ იქ ვერ ვიპოვეთ. შემდეგ დიღომისკენ წავედით, გზები შეკრული იყო და შევიპყარით.

**თავმჯდომარე** (კუჩარიანცს). ეს გლეხი იყო თქვენ რომ შეგხვდათ?

**კუჩარიანცი.** დიახ, ეს იყო. მხოლოდ მან სამი გზა გვიჩვენა.

5 საათზე სხდომა შეწყდა.

# მთავრობის ცნობა

თბილისი, 23 დეკემბერი.

სომხეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო მოქმედების დაწყებისთანავე მთავრობის ორგანოებმა შენიშნეს, რომ სომხები ყველგან ახდენდენ საიდუმლო მობილიზაციას; როგორც თბილისიდან, ისე სომხებით დასახლებულ ახლო მახლო რაიონებიდან და აგრეთვე რუსეთიდანაც სასალდათო ახალგაზრდები მრავლად იგზავნებოდა სომხეთში.

თვალყურის დევნამ ეჭვს გარეშე გახადა, რომ სასალდათოების ჩაწერა ხდებოდა საქართველოში არსებულ სომეხთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე, არამიანცის სახლში, და იმ ოთახებში, რომლებიც წინეთ სომხეთის დიპლომატიურ მისიას ეკავა. სასალდათოების ჩაწერა შეკრების საქმეში ხელს უწყობდენ „დაშნაკცუტიუნის“ პარტიის ცნობილი მოღვაწენი.

20 დეკემბერს მომხდარმა ჩხრეკამ ეს გარემოება ნათელჰყო—დაამტკიცა. ხსენებულ შენობაში დაპატიმრებულ იქნენ სამსახურის გარეშე („ზაპასი“) დარჩენილი ოფიცრები და სასალდათო ახალგაზრდები—184 კაცი.

ამიტომ გაცემულია ბრძანება ადგილობრივ მთავრობის ორგანოებისადმი, რათა სომხეთის რესპუბლიკის სასალდათო ჰასაკის ქვეშევრდომნი გამოცხადებულ იქნენ სამხედრო ტყვეებათ და გაგზავნილ იქნან ქალაქ ქუთაისში. „დაშნაკცუტიუნის“ პარტიის აქტიური მოღვაწენი კი, რომლებიც ხელს უწყობენ სომხეთისთვის ჯარების შედგენის საქმეს, დაპატიმრებულ იქნან საერთო წესით.

ზემო აღნიშნული დადგენილება უკვე სისრულეში მოდის.

# ახალი ამბები

ფრონტიდან კერძო მიღებული ცნობებით სადახლოსთან ჩვენმა ჯარმა დაამარცხა სომხის ჯარი.

◆ დღეს, საღამოს 5 საათზე, ბიუროს ბინაზე, გოლოვინის პროსპექტი, № 24 სახლი არაქელოვისა, დანიშნულია საქართველოს ს.-დემ. მუშ. პ. თფილისის კომიტეტის სხდომა.

◆ **მანგლისის რაიონიდან** მობილიზაციით გაწვეული რაზმი, დაახლოვებით 50 კაცისაგან შემდგარი, გუშინ დღის 11 საათზე ეწვია ჩვენს რედაქციას. რაზმი დროშით და ზურნით შემოვიდა ეზოში. რაზმს სიტყვით მიმართა ჯერ ერთმა მოწინავე ჯარისკაცმა, რომელმაც მიესალმა ჩვენს გაზეთს და აღნიშნა „ერთობის“ ღვაწლი ხალხის თვითგანვითარების საქმეში და მოუწოდა ჯარისკაცებს მჭიდროთ შემოკრებოდნენ იმ წითელი დროშის გარშემო, რომელიც მათ ჩააბარა სოც. დემ. პარტიამ და ხასიათ შეუტიონ იმ მეზობელ მტერს, რომელიც ასე ვერაგულათ თავს დაგვესხა და ლამობს ჩვენი სამშობლოს თავისუფლების შელახვას. შემდეგ „ერთობის“ რედაქციის სახელით ამხ. რ. არსენიძემ ილაპარაკა. რ. არსენიძემ განუმარტა რაზმს, რომ „ერთობის“ რედაქცია მუდამ მშვიდობიანობას და ერთა სოლიდარობას ქადაგებს, მაგრამ სომხეთში გაბატონებულ დაშნაკცუტიუნის გავლენით სომხეთის მთავრობა მეხანათურათ თავს დაესხა საქართველოს და საქართველოც იძულებულია მოსულ მტერს იარაღით გასცეს პასუხი. ახლა თქვენზე დამოკიდებული დაიცავთ საქართველოს დემოკრატიას, თუ ნებას მისცემთ მტერს თფილისში შემოიჭრას და მშვიდობიანობის საქმე საფრთხეში ჩააყენოს. საპასუხოთ ჯარისკაცებმა შესძახეს: „გაუმარჯოს საქართველოს“ „ძირს დაშნაკცუტიუნი“ და ზურნით დაბრუნდნენ.

◆ **მეომართა დამხ. კომიტეტში.** კვირას, საღამოს 5 საათზე, კომიტეტის ბინაზე შესდგა კრება. არჩეულ იქმნა პრეზიდიუმი: თავმჯდომარეთ—ქ-ნი ნ. გაბაშვილისა, თავმჯდომარის ამხანაგებათ—ელ. ელიავასი და მ. რამიშვილისა, ხაზინდრათ—ქ ნი გვაზავასი და ნ. მაჭავარიანი, მდივნათ—ქ. შარაშიძე. კრებაზე გამოცხადდნენ წარმომადგენელნი—ქალთა საზოგადოებისა, მასწავლებელ ქალთა ჯგუფისა, ფოსტა ტელეგრაფის მოსამსახურე ქალთა საზოგადოებისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის მსმენელ ქალთა ჯგუფისა. მათ სურვილი გამოსთქვეს შეუერთდნენ დამხმარე კომიტეტს; იყოლიონ თავიანთი წარმომადგენელნი კომიტეტის პრეზიდიუმში; შეიმუშაონ პრეზიდიუმთან ერთად სამოქმედო გეგმა და გაანაწილონ სამუშაო გაერთიანებულ საზოგადოებას წევრთა შორის. დამხმარე კომიტეტი სრული თანაგრძნობით შეეგება ამ გადაწყვეტილებას.

◆ **ლეჩხუმში** მობილიზაცია კარგათ ჩატარდა, ვადგენთ სვანებისა და ლეჩხუმლების რაზმს. ხალხი მზათ არის მთავრობის დასახმარებლათ. რუბენ ყიფიანი.

◆ **სამხედრო ტყვეები.** სამხედრო უწყების განკარგულებით ის ტყვეები, რომელნიც დღემდე თფილისში მოიყვანეს, გაგზავნეს ქუთაისში. ამიერიდან ფრონტიდან ჩამოყვანილ ტყვეებს პირდაპირ ქუთაისში გაგზავნიან.

◆ **სანიტარული რაზმი.** საჭიროა 200 სანიტარი—მოხალისენი, სასურველია ინტელიგენტები. ჩაწერა და პირობების გაგება შეიძლება ქსენიის ქ. № 10.

◆ **გაზეთები ფრონტზე.** ქალთა წრემ დაადგინა შეწირული გაზეთები ფრონტზე სასწრაფოდ მიაწოდოს ჯარისკაცებს.

◆ **დაპატიმრება.** გუშინ დილის 9 ს. ქალაქის საბჭოს წევრები გ. ი. ხატისოვი და ა. აბეგიანი დააპატიმრეს. თფ. მილიციის უფროსის განკარგულებით დააპატიმრეს თ. ა. გეურქოვი, როგორც საზოგადოებისთვის მავნე პირი.

◆ **მეცხვარეთა რწმუნებული.** ხუთშაბათს, 19 დეკემბერს, შინ. საქმ მინისტრი ინახულა თფ. გუბერნიის მეცხვარეთა რწმუნებულმა ვასო ილიას ძე ათანელიშვილმა. რწმუნებულმა განაცხადა, რომ მეცხვარეთა ზომიერმა დარაზმვამ ნაყოფი გამოიღო, მთელი ზაფხულის განმავლობაში ბევრნაირი დაბრკოლებანი გადალახეს და „ბანდების“ შემოსევას მარჯვეთ იგერიებდენ, რასაკვირველია იარაღის შეწყობით. ახლად გამოცემულ კანონის თანახმად ხდება იარაღის აყრა, რამაც მეცხვარეები საგონებელში ჩააგდო, ვინაიდან მეცხვარე, როგორც მინდვრის შვილი და დარაჯი უიარაღოთ წარმოუდგენელია. მინისტრმა ნება დართო სანდო პირებს იარაღის ტარებისა, ამისათვის რწმუნებულმა ათანელიშვილმა უნდა წარადგინოს მთავრობაში სია ცნობილ საიმედო მოწმობისა, საიდანაც თვითეულს ცალკე მიეცემა ნებართვა იარაღზე.

◆ **სურამში.** 20 დეკემბერს, საღამოთი თავს დაესხნენ ყაჩაღები გასაძარცვავათ ექიმთ გამაშვილ მოგილევსკის. ექიმები ყაჩაღებმა მოჰკლეს. ერთი ყაჩაღთაგანი მოკლულია. დაპატიმრებულია ორი, თავდასხმა მოწყობილია ორგანიზაციულად.

◆ **ქართულ ტეხნიკურ საზოგადოებაში.** დღეს, 24 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, ფრეილინის ქუჩ. № 11, შესდგება საზოგადო კრება. განსახილველია ფრიად საყურადღებო საკითხები, საჭიროა ყველა წევრები დაესწროს. ოთხშაბათს, 25 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, ფრეილინის ქუჩ. № 11, ინჟ. ს. კირკისალოვი წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „ელექტრონული რკინის გზები საქართველოს რკინის გზების ელექტროფიკაციასთან დამოკიდებულებაში“.

◆ **გზათა სამინისტროს** კანცელარია სთხოვს მაკარი გოგუაძეს წარუდგინოს კანცელარიას „ერთობის“ 15 დეკემბრის ნომერში მოთავსებულ შენიშვნაში დასახელებული საბუთები იმის შესახებ, რომ არა ერთხელ მატარებლით მოგზაურობის დროს კონდუქტორებს მისთვის ბილეთი არ მოუთხოვნია. თვითონვე ზემო აღნიშნულ საყურადღებოთ რედაქცია აცხადებს, რომ მისი წერილი რკინის გზის ბილეთებითურთ გადაეცა რკინის გზის სამინისტროს კანცელარიას.

◆ **ლექცია** დღეს, 24 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში, ნაძალადევის თეატრში, დანიშნულია ლექცია: ექ. ტურიაშვილისა „ჰიგიენა“, ექ. მაისურაძისა „ანატომია“.

◆ **„ახალი კვალი“.** გამოვიდა „ახალი კვალის“ მეცხრე ნომერი შემდეგი შინაარსით: ომი სომხეთთან, ლექსი, გვარდია, გერმანიის რევოლიუცია, ისტორიული და ფილოსოფიური მატერიალიზმი, სოციალური რევოლიუცია, პლეხანოვი და ორტ. მარქსიზმი, ფელეტონი, კორესპონდენციები და სხვ. პროვინციელმა ორგანიზაციებმა უნდა მიაკითხონ კანტორა „განათლების“ ადგილობრივ აგენტებს. თფილისში იყიდება მეგაზეთეებთან. ფასი 1 მან. 50 კაპ.

◆ **წარმოდგენა.** 27 დეკემბერს არტისტიულ საზოგადოებაში ს. დ. მ. პ. „გუმბრი“-სა და მისი ორგანოს „გელჯეკის“ და „პრობუჟდენიეს“ სასარგებლოდ სახელმწიფო თეატრის არტისტთა მონაწილეობით გაიმართება წარმოდგენა.

◆ **დაკარგული კაცი.** ორი თვეა უგზოუკვლოდ დაიკარგა რაჟდენ ლუკას ძე წიტაიშვილი. მსახურობდა რიყეში—სასადილოში. 40 წლისაა, გურული. თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ, ვთხოვთ გვაცნობოს კანტორა „განათლება“-ში ოლღას ქ. № 6.

### კ რ ე ბ ე ბ ი.

25 დეკემბერს ნავთლუღში ნაშუადღევს 3 საათზე მოწვეულია საზოგადო კრება საქ. ს. დ. მ. პარტიის ამხანაგებისა. აგრეთვე პროპაგანდის ამხანაგებს ვთხოვთ დაესწრონ კრებას.

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

22 დეკემბერი.

### გერმანული პრესის ცნობები.

პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრს ელბერფელდში თათბირი ჰქონდა რეინის საკითხის შესახებ პარლამენტის მოსხრეებთან, ქალაქის საბჭოს წევრებთან, მთავრობის წარმომადგენლებთან და მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების დელეგატებთან. თათბირმა გადასწყვიტა, რომ რეინის მიწები უნდა დარჩეს გერმანიას და ყველა უნდა შეებრძოლოს იმ ტენდენციას, რომელიც მიმართულია ამ მიწების გერმანიისგან ჩამოშორებაზე.

ცენტრის პარტიის მიტინგზე ესენში, ცენტრის პარტიის დეპუტატმა ბელმა პროტესტი განაცხადა რეინის მიწების საფრანგეთთან შეერთების, ან და მის ცალკე სახელმწიფოთ გამოყოფის ცდაზე, რეინის მიწები გერმანიას უნდა დარჩეს.

გაანთავისუფლეს პრუსიის ყოფილ მთავრობის განკარგულებით სოციალისტურ ტენდენციებისთვის დაპატიმრებული ბერლინის უნივერსიტეტის ლექტორი ლეო არენსი. მას უბოძეს პროფესორის ხარისხი.

ცნობილი გერმანული ქალაქი ავსტრიის სილეზიაში ტროპაუ 18 დეკემბერს დაიჭირა ჩეხო-სლოვაკებმა.

პოლონეთსა და გერმანიის შორის დიპლომატიურ კავშირის შეწყვეტას პოლონეთის მთავრობა იმით ხსნის, რომ გერმანელებმა პოდლაზენში დარბევა გააძლიერეს.

შვეიცარიიდან მიღებული ცნობა, რომ გერმანული სამხედრო გემის „ილტისის“ გმირული ბრძოლის აღსანიშნავათ შანხაის ახლო აგებული ძეგლი გაანადგურეს იმ პირებმა, რომლებსაც კავშირი აქვთ შეთანხმების სახელმწიფოებთან.

### ინგლისურ პრესის ცნობები

სამშვიდობო კონფერენცია 16 იანვრისთვის მოიწვევენ. სამშვიდობო კონფერენციის მუდმივი კომისია ბრიუსელში იქნება.

ბერლინიდან მოსულ ცნობების თანახმად დამოკიდებულ სოც. დემ. გადაწყვეტეს მხარი დაუჭირონ ნაციონალურ ყრილობის არჩევნებს, ეს გადაწყვეტილება სპარტაკის ჯგუფის დამარცხებას ნიშნავს.

### ფრანგული პრესის ცნობები.

კოპენჰაგენიდან იუწყებიან: ჩრდილოეთ გერმანიიდან გემებით ყოველ დღე მოდიან განთავისუფლებული სამხედრო ტყვეები. ამ ჟამად დანიაში იმყოფება 8—9 ათასი ინგლისელი, ფრანგი და კანადელი. 10,000 მეტი ტყვე შობის დღესასწაულს აქ გაატარებს. ყოველ ზომებს მიიღებენ, რომ მათ შობის დღესასწაული რაც შეიძლება კარგათ გაატარონ.

აგრამიდან იუწყებიან: ჩეხო-სლოვაკთა რესპუბლიკამ და სამხრეთის სლავიანებმა (სერბიელებმა, ხორვატებმა და სლოვენებმა) დელეგატები აირჩიეს იმ მიზნით, რომ ეკონომიურ და სამხედრო საქმეში მათ შორის შეთანხმება მოხდეს და კავშირი მოეწყოს.

სტოკჰოლმიდან იუწყებიან: შვედური გაზეთების ცნობით შვეციის მინისტრმა ჰელსინგფორსში ფინლანდიის მთავრობას გადასცა ნოტა, რომელშიც აღნიშნავს, რომ ალანდის კუნძულის მცხოვრებნი სურვილს გამოსთქვამენ კუნძული შვეციას შეუერთდეს.

გაზეთ „ტანს“ იუწყებიან, რომ ავსტრიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მდივანი ლეო ბირო თანამდებობიდან გადადგა, რის მიზეზათ ავადმყოფობას ასახელებს. ნამდვილათ კი მიზეზი ის არის, რომ ბიროს წინააღმდეგ ხშირათ ილაშქრებდენ.

აგრამიდან იუწყებიან, რომ კროატიის მთავრობამ ბრძანება გასცა 31 დეკემბრამდე ჯარის დემობილიზაცია მოხდეს.

23 დეკემბერი.

### ბოლშევიკების ცნობები.

**მოსკოვი.** ბერლინში, ცენტრალურ [illegible] აღმასრულებელ საბჭოს, ყველა გერმანიის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატებს ის მჭიდრო კავშირი, რომელიც არსებობს ლიტვის მცხოვრებთა და წითელ რუსეთის შორის, შეძლებას გვაძლევს სწორი წარმოდგენა ვიქონიოთ იქაურ ამბებზე. რამდენათაც ვიცით აღმოსავლეთ ფრონტის უმაღლესი სარდლობა ქ. კოვნოში რევოლიუციის წინააღმდეგ გალაშქრებას აწყობს, ყოველ ღონეს ხმარობდენ, რომ რაც შეიძლება მალე შეადგინონ რეაქციონური ძალა და გერმანიის რევოლიუციის წინააღმდეგ გაილაშქრონ. კონტრ-რევოლიუციონერთა საიდუმლო მუშაობა საფრთხეში აგდებს რევოლიუციონურ მუშებს. ჩვენ, რომელნიც რევოლიუციონურ პროლეტარიატის სოლიდარობის საფუძველზე ვდგევართ, მოვალეთ ვრაცხთ თავს თანამოძმე ამხანაგების ყურადღება მივაქციოთ იმ მოვლენას, რომელიც საფრთხეში აგდებს ჩვენს საერთო საქმეს. საგარეო საქმეთა კომისარი ჩიჩერინი. ჩრდილოეთის ფრონტი. პერმის რაიონში მდინარე ჩუსოვის შესართავთან სოფ. ჩუსტა დავიჭირეთ. რევალის მიმართულებით ჩვენი ჯარი ავინარ-გორის ხაზს დაუახლოვდა. პსკოვის რაიონში, გორიცკის მიმართულებით ჩვენ ბრძოლით დავიჭირეთ მარიენკაცი. დასავლეთის ფრონტი. ვილნოს მიმართულებით ჩვენმა ჯარმა სადგური გრუდი დაიჭირა, ლიბავის მიმართულებით ტალსენი დაიჭირეს. სამხრეთის ფრონტი. ბობროვის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა სოფლები დაიჭირა, პოვორინის სამხრეთით რამოდენიმე სოფელი დაიჭირა. ცარიცინის და კამიშინის მიმართულებით ჩვენ ტყვეთ ჩავიგდეთ მოწინააღმდეგის ჯარის ნაწილი. აღმოსავლეთის ფრონტი. ბიკბარდინთან ჩვენი ჯარი წინ მიიწევს და მდინარე იუკს (?) მიაღწია. კრასნოვო-უფიმის მიმართულებით, ვოზნესენის რაიონში მოწინააღმდეგე შეტევაზე გადავიდა. კუნგური-კუშვინის მიმართულებით ბრძოლა სწარმოებს. ნაუენი. 21 დეკ. ნორვეგიის მეზღვაურთა კავშირმა, მეზღვაურთა ინტერნაციონალურ კავშირის თავმჯდომარეს მავენდოვა ვილსონს ომის დროის შოვინისტური მოქმედების გამო პროტესტი განუცხადა. კარნოფონი. 21 დეკემ. ციურიხიდან მიღებული ცნობა, რომ ჰინდენბურგმა აცნობა გერმანიის მთავრობას, რომ მას აზრათ აქვს ახალი ფრონტის შექმნა ნეიტ. ზონის 10 კილომ. უკან. მოკავშირენი წინააღუდგებიან ამ ფრონტის შექმნას. როგორც სჩანს გერმანიის მთავრობამ არ შეიწყნარა ძალა ებრძოლოს ჰინდენბურგს. ნაუენი. 9 დეკემბერს გერმანიის საბჭოთა საერთო ყრილობამ დაადგინა, რომ სახალხო რწმუნებულთა საკონტროლოთ დაარსდება საბჭოთა ცენტრალური კომიტეტი. ცენტრალური საბჭო შესდგება 27 წევრისგან, დამოუკიდებლებმა უარი განაცხადეს ცენტრ კომ. არჩევნების მონაწილეობაში. მიიღეს სოც.-დემ. უმრავლესობის სია.

### ფრანგული პრესის ცნობები.

საფრანგეთის ჯარმა მუსიკით გაიარა კობლენცის ქუჩები. ეს ჯარი ქალაქის დასაჭერად არ ჩასულა, რადგან აქ უკვე ამერიკის ჯარი ხდგას, საფრანგეთის ჯარი კობლენციდან რეინის მარჯვენა მხარეზე მიდის სადაც უნდა დაიჭიროს ნაჩვენები სექტორი. დილის 11 საათზე მაინციდან და ბინგენიდან კობლენცში რეინით მოვიდა სამი დიდი გემი. ჯარის გადმოსხმა წესიერად სწარმოებს. 2 საათზე საფრანგეთის ჯარმა სახალხო დიდ მოედანზე პარადი გამართა, რომელიც მიიღო ამერიკის მე-3 არმიის სარდალმა გენერალმა დიკმანმა. პარადის შემდეგ გენერალ სიუსბილის ჯარი გადავიდა რეინზე აღნიშნულ პუნქტების დასაჭერად.

### გერმანული პრესის ცნობები.

კენიგსბერგში, სახალხო მიტინგზე, რომელსაც დაესწრო რამოდენიმე ათასი კაცი, პროტესტი განაცხადეს აღმოსავლეთ პრუსიის ლიტვასთან ან პოლონეთთან შეერთების ცდაზე, რეზოლიუციაში აღნიშნულია, რომ აღმოსავლეთი პრუსია შვიდი საუკუნის განმავლობაში ეკუთვნოდა გერმანიას და მომავალშიც განუყოფელია მისგან და სრული კავშირი უნდა ჰქონდეს გერმანიასთან პოლიტიკურის, ეკონომიურის და კულტურულის მხრით.

მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების უმრავლესობა მოიწონა დამფუძნებელ კრების არჩევნები 1919 წლის 19 იანვრისთვის დაინიშნოს, კენჭის ყრის შემდეგ დამოუკიდებლებმა და სპარტაკელებმა ისევ დასტოვეს კრების დარბაზი.

ეროვ. კრების დროს განსაზღვრის შემდეგ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ცენტრალური საბჭო უნდა შესდგებოდეს 27 წევრისაგან. კამათის შემდეგ უარყვეს გეგეირის წინადადება დამოუკიდებელ სოც.-დემ.: განაცხადეს, რომ ისინი არ მიიღებენ ოფიციალურ მონაწილეობას ცენტრალური საბჭოს არჩევნებში. მიიღეს სოც.-დემ. უმრავლესობის პარტიის სია.

## სალამი მთავრობას

**თფილისი.** 23 დეკემბერი. მთავრობის თავმჯდომარეს. მთავრობის თავმჯდომარის სახელზე მიღებულია შემდეგი დეპეშა: „ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა ექსპორტის საზოგადოების კრება თქვენის სახით მიესალმება ჩვენი რესპუბლიკის დემოკრატიულ მთავრობას და აცხადებს, რომ იგი ყოველის თავისი ძალღონით დაეხმარება მთავრობას სამშობლოს დაცვის საქმეში გარეშე მტრის წინააღმდეგ. ჯარის საჭიროებისათვის კრებამ გადასდო 150 ათასი მან. დიდება ქვეყნის და თავისუფლების დამცველ ჯარს და გვარდიას!

**თფილისი.** 23 დეკემბერი. თელავიდან. საქართველოს რესპუბლიკის თავმჯდომარის სახელზე მიღებულია შემდეგი დეპეშა: „თელავის სომხების წარმომადგენელთა კრება 21 დეკ. საქართველოს და სომხების შორის შექმნილ მდგომარეობის მსჯელობის შემდეგ, პროტესტს აცხადებს სომხეთში მცხოვრებ ავანტიურისტთა მოქმედებაზე, რომელთა შედეგად ორ მოძმე ერის შუა სისხლის ღვრა. თელავის სომხობა სალამს უძღვნის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას და პირდება ყოველგვარ დახმარებას დემოკრატიულ რესპუბლიკის დაცვაში. ამასთანავე გთხოვთ მიიღოთ ყოველგვარი ზომები მოძმე ერების სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლად. თავმჯდომარე ხითაროვი. (ს. დ. ს.)

## მუშათა შორის

**რკინის გზის მთავარი სახელოსნო.** ადმინისტრაციის ხელმძღვანელობას არ შეუძლია არ იცოდეს, თუ რაგვარ გაჭირვებას განიცდიან რკინის გზის მუშა-მოსამსახურენი და ისიც, თუ როგორ მოთმინებით იტანენ ყოველივეს, დარწმუნებული იმაში, რომ თუ კი შეძლება მიეცემა ჩვენს სოციალისტურ მთავრობას, რა თქმა უნდა, მუშები არ დარჩებიან მივიწყებულნი. სხვანაირად არც შეიძლება იყოს, ვინაიდან რკინის გზის მუშებს, როგორც რევოლუციის ავანგარდს, არ შეუძლიათ პირველ რიგში არ დააყენონ: ჯერ გამაგრება რევოლუციის მონაპოვართა, დემოკრატიულ რესპუბლიკის განმტკიცება და შემდეგ თავის თავზე ზრუნვა.

მათ კარგათ იციან, რომ თუ ეს თავისუფლება ხელიდან გაუსხლტათ, დიდი ხნით და ულმობლათ მონობის უღელი, მასთან დაიმსახურებენ მომავალთ თაობის რისხვას და აკი ამიტომაც არ აყენებენ ისეთ მოთხოვნილებებს, რომელიც ძირს გამოუთხრის და დასცემს ჩვენს თავისუფლებას და რის მოვლენაც დღესაც არ შეუძლიან რევოლუციას.

რა თქმა უნდა, ოჯახში მუდამ მოიპოვებიან თითო ოროლა მახინჯნი. ასეთები არიან რკინის გზის მთავარ სახელოსნოში, სადაც მიუხედავათ შემადგენლობის შემცირებისა, დღესაც ირიცხება 2400 კაცი, არიან ისეთები, რომლებიც არხეინათ პირობებს ანგარიშს არ უწევენ და მიუხედავათ იმისა, რომ დღეში 8 საათის მაგივრათ ორ საათსაც არ მუშაობენ, მუდამ უკმაყოფილონი არიან და ყველაზე მეტს ყვირიან მთავრობის ვითომდა უკანონო მოქმედებაზე და მით ცდილობენ მასსაში დეზორგანიზაციის შეტანას. მაგრამ ამნაირ უპასუხისმგებლო დემაგოგიურ მათს გამოსვლებს მუშები შესაფერ პასუხს აძლევენ და მუდამ კიდევ ნაცარში ფლავრდებიან. დღეს უკვე დაგვიანებულია მუშების ამხედრება იმ ერთად ერთი სადი პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც ჩვენი მთავრობა აწარმოებს.

არ შეგვიძლიან მწუხარებით არ აღვნიშნოთ შემდეგი: წარსულ წლებში რკინის გზის სამმართველო დაკლებულ ფასებში აწვდიდა შეშას რკინის გზის მუშა მოსამსახურეებს, წელს კი უარი უთხრეს და წინადადება მისცეს თვითონვე შეიძინონ შეშა და თუ საჭირო იქნება, ვაგონებს უფასოთ მისცემენ შეშის გადმოსატანათ. ამ განკარგულებამ ერთნაირი არევ დარევა შეიტანა როგორც წარმოებაში, ისე მუშებშიაც, ვინაიდან მუშების ძალიან მცირე ნაწილმა შეძლო იმ ფასით შეშის შეძენა, უმეტესი ნაწილი კი დღესაც უშეშოთ სხედან ცივ და ნესტიან სარდაფებში და იობისებური მოთმინებით იტანენ ხომშილთან ერთად სიცივესაც. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია ადგილობრივმა პროფესიონალურმა კავშირმა, რომელმაც რკინის გზის ცენტრალური პროფესიონალური კავშირის დახმარებით აღძრა შუამდგომლობა რკინის გზის სამმართველოს წინაშე, რათა მან, როგორც ტექნიკურად და ორგანიზაციულად მომწყობილმა, თვით იკისროს შეშის მოწოდება უმთავრეს სახელოსნოს მუშა-მოსამსახურეებისთვის, თუნდაც იმ პირობით, რომ ღირებულება შეშის წინდაწინ იქნას ჯამაგირიდან დაკავებული. საჭიროა ამ სამართლიან შუამდგომლობას დროზე მიექცეს ყურადღება, ვინაიდან ჯერ არის.

აგრეთვე ყურადღება უნდა მიექცეს, როგორც სახელოსნოს ადმინისტრაციის, ისე შეგნებულ ამხანაგებისა იმ ერთნაირი ავადმყოფობის მოსპობას, რომელმაც თავი იჩინა ზოგიერთა შეუგნებელ მთავარ სახელოსნოში მომუშავეთა შორის, მე ვამბობ მასალის გაუფრთხილებლობაზე და ქურდობის შესახებ: აქაო და შეშა არა გვაქვსო და ზოგიერთი ულირსი შვილები მუშათა კლასის და მისი შემარცხვენელნი, შეუბრალებლათ სჭრიან და ანადგურებენ საუკეთესო ხის მასალას და მით სჩადიან უდიდეს დანაშაულს ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის წინაშე. ამ ვაჟბატონებს ჯერაც ვერ შეუგნიათ, რომ ჩვენი რესპუბლიკის სიმდიდრე და კეთილდღეობა, ეს თვით ხალხის, დემოკრატიის კეთილდღეობას ნიშნავს. შეგნებული და გათვითცნობიერებული მუშები შეურყევლივ მიიწევენ წინ სინათლის და თავისუფლებისკენ, იბრძვიან თავიანთი პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და არასოდეს ქურდობას არ გაამართლებენ, რა გინდ ცუდ პირობებში უხდებოდეთ ცხოვრება. მათ უწყიან დასაგმობია ეს ლაქა, რადგანაც მთელი სიმდიდრე სახელმწიფოსი ეკუთვნის იმავე ხალხს. დროა ეს ყველამ შევიგნოთ და დავიხსომოთ.

ვ. ვაშაკიძე.

## პროვინცია

**აბაშის** რაიონის სახალხო გვარდიის ჯარისკაცების უმრავლესობის გაბოლშევიკებასთან ჩაეყარა საძირკველი. რუსის ჯარისკაცებმა, რომლებიც დაბანაკებული იყვნენ ქ. ქ. ხონაკში, ფოთში და ქუთაისში, ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ეცრებიდან ვროთზემდე გაილაშქრეს. მათი ლოზუნგი ცნობილია: ანარქისტიული პაგრომების მოწყობა, სახაზინო ქონების დატაცება და ყველაფერი ის, რასაც უწესობა და ველურობა ეწოდება. რაკი ცენტრიდან წესრიგის დამცველ ძალების გაგზავნა შეუძლებელი იყო, პროვინციის მთავრობები იძულებული იყვნენ ადგილობრივ მოენახათ ასეთი ძალები. როდესაც სენაკის მაზრაში ასე დადგება კითხვა, აბაშის რაიონი იქ პირველი უნდა ყოფილიყო და ეს ასეც იყო. სენაკის მაზრის ადმინისტრატორმა პირველ საჭიროებისთანავე 1917 წ. ბოლო რიცხვებში მიუწოდა აბაშის რაიონის ს. დ. ორგანიზაციებს, რომ სენაკისთვის მიეშველებინა ძალები. აბაშამ ეს მაშინვე შეასრულა და 100 მდე მოხალისე გაგზავნა. ამით ჩაეყარა საძირკველი მოხალისეთა წითელ რაზმელებს. ორგანიზაციებს ისინი სახეში ჰყავდა და როცა საჭიროება დადგა, იმათ გზავნიდა ფოთში, ქუთაისში, ბანძაში და სხ. ამათ საერთო ხელმძღვანელობას უწევდა აბაშის რაიონის ს. დ. პროპაგანდისტი არტემ ფანცულაია. მაისში მოხალისეებმა გადაწყვიტეს მათ დარქმეოდათ მენშევიკთა რაზმი და ხელმძღვანელათ იგივე ფანცულაია აირჩიეს. ეს რაზმი ენერგიულათ ეხმარებოდა ადმინისტრაციას წესიერების დამყარებაში და თავის წრიდან გვარდიელებს გზავნიდა თფილისის გვარდიაში. ასე გაგრძელდა 1918 წ. ნოემბრამდის. ამ დროს წარმოიშვა იდეა რაიონულ გვარდიის შექმნისა თავის შტაბით. ხელმძღვანელმა მოიწვია გვარდიის კრება 3 დეკემბერს და ამ კრებაზე გადაწყდა ეს კითხვა დადებითად. იმავე დღეს იქნა არჩეული რაიონული შტაბი შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარეთ არტემ ფანცულაია, მის ამხანაგათ ბიხვა მიქაძე, მდივნად წევრათ პრეზიდიუმის ვანო ჩიქოვანი; წევრებათ: ლავრ. ჭუმბურიძე, გიორგი ხურიძე, შალვა ქობალავა და გიორგი კუცია. საბოლოო რეგისტრაციით აბაშაში 100 გვარდიელია. ესენი ფიქრობენ მოწყობას სამტრედია ხაშურის სახით და მთავარ შტაბიდან მოელიან შესაფერ დახმარებას.

**ხოფ. ინგირი.** (ზუგდიდის რაიონი) ეს სოფელი ქ. აბაშიდან ოთხი ვერსით არის მოშორებული. არსებობს წიგნთ-საცავ სამკითხველო, მაგრამ მისი საქმე სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ არის ხეირიანათ დაყენებული. დღემდე მუშაობასაც არ აქვს ადგილი, თუმცა მუშაობის შემძლე პირნი კი მოიპოვებიან. მოწინავე ახალგაზრდები მეტის სიბეჯითით რომ მუშაობდნენ, დარწმუნებული ვართ ბევრი რამის გაკეთება შეიძლებოდა.

სოფელში მეტად გახშირდა ავადმყოფობა. ექიმი აბაშის აქეთ არ იშოვება. მის მოყვანას ასიანები სჭირია და ეს ღარიბ მუშას სად შეუძლია.

მოსავალი გვარიანი იყო და ამინდიც კარგი დამდგა.

ნაძირალები ყაჩაღობით ძლიერ აწუხებენ სოფელს. მთავრობა ღებულობს მათ წინააღმდეგ ზომებს. საჭიროა გაძლიერებული ბრძოლა ამ ბოროტ მოქმედებასთან.

ნარი.

**გორი.** გორის მაზრის სოციალდემოკრატიული კომიტეტი ამით აცხადებს გორის მაზრაში მომუშავე პასუხისმგებელ პროპაგანდისტების და სამაზრო კომიტეტის ამხ. წევრთა საყურადღებოდ, რომ ოთხშაბათს, 25 დეკემბერს, დილის ათ საათზე, დანიშნული არის გორის მაზრის სოც. დემ. კომიტეტის არაჩვეულებრივი კრება და სთხოვს ამხანაგებს დაესწრონ აუცილებლად. კრება გაიხსნება ცენტრის ბინაზე (სობოროს ქუჩა, სახლი № 8

მდივანი გ. გოგუა.

## ს.-დემ. პარტიაში

**რკინის გზის სამმართველო.** 4 დეკემბერს შესდგა სამმართველოს პარტიის წევრთა კოლექტივის სხდომა. სხდომამ პირველად განიხილა პარტიულ მთლიანობის გამთიშველი მოქმედება იმ პირთა, რომლებიც თავს იყრიან რუსულ გაზეთ „სოციალ-დემოკრატის" გარშემო. სხდომამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „განიხილა რა საქართველოს სოც.-დემ. პარტიის დაფუძნების გამო ხუთი-ექვსი ამხანაგის პარტიიდან გამოყოფის საკითხი, რომლებმაც თავი მოიყარეს რუსულ გაზეთ „სოციალ დემოკრატის" გარშემო და იქიდან ხელს უშლიან პარტიულ მუშაობას და მის მთლიანობას, და სცნო რა, რომ ჩვენ რესპუბლიკაში ერთი მთლიანი სოც.-დემოკ. პარტია უნდა არსებობდეს, რომ პარტიული დისციპლინა თავისი ფართო მნიშვნელობით აუცილებლად დაცულ უნდა იქნას, რომ ხსენებულ ამხანაგებს, თავიანთი მოქმედებით, გათიშვა შეაქვთ პარტიულ ერთიანობაში, რითაც ცხადია, ხელს უშლიან პარტიის და, მაშასადამე, რესპუბლიკის ძლიერებას აყვავებასაც და რომ თვალსაზრისის სხვადასხვაობის დაცვა პარტიის შიგნითაც კი შეიძლება, სხდომამ დაადგინა: აწარმოვოს კულტურული საშუალებით ბრძოლა გამთიშველების წინააღმდეგ, მიღებულ იქნას ყველანაირ ჯერ არს ყოველივე ზომები, რომ აღნიშნული სამწუხარო მოვლენა აცილებულ იქნას".

მესამე საკითხათ გარჩეულ იქნა დამფუძნებელ კრების საარჩევნო კამპანიის ჩატარება და ამისთვის საჭირო ფონდის შექმნა ს.-დემ. ფრაქციის გადაწყვეტილებისამებრ.

შემდეგ სხდომამ მოისმინა ადგილობრივ მოხსენებები: გამოირკვა, რომ პარტიული მუშაობა ჩვეულებრივისამებრ მიმდინარეობს. გამოირკვა აგრეთვე, რომ იქ, სადაც პროფესიონალური სექციების არჩევნები არ ყოფილა, უკვე მომხდარა და თითქმის პარტიის წევრები გაუყვანიათ.

შემდეგ მოხსენებას აკეთებს საგამოძიებო კომისიის წევრი ნ. ლეჟავა რკინის გზის საავადმყოფოში მომხდარ ბოროტ მოქმედების შესახებ, რაშიც ბრალი ედებოდა იქაურ 2 მოსამსახურეს—პარტიის წევრებს. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ დამამტკიცებელი საბუთი ჯერ არსად ჩანს და ამიტომ გამოძიება სწარმოებს, რის განგრძობასაც მიენდო ძველ საგამოძიებო კომისიას.

სხდომამ ხელახლა დაადგინა სხვა კოლექტივების საყურადღებოთ, რომ პარტიაში წევრებათ სამმართველოს მოსამსახურეთაგანი ჩვენი კოლექტივის დაუკითხავად არ მიიღონ.

საქარელი მ.

**წნაკის** რაიონის კოლექტივი ს. ს.-დ. მ. პ. უღრმეს მადლობას უცხადებს ამხ. პაპა ახალაიას—კვარაცხელიას ასულს, რომელმაც კეთილ ინება და კოლექტივის სასარგებლოდ შემოსწირა ასი მანეთი მისი მეუღლის ამხანაგ ბაგრატ ახალაიას ხსოვნის აღსანიშნავათ.

კოლექტივის თავმჯდომარე ნ. გუგუნავა.
მდივანი ხ. ნარმანია.

## წერილი რედაქციის მიმართ

დიდათ პატივცემულო ამხ. რედაქტორო! გთხოვთ ადგილი დაუთმოთ პატივცემულ გაზეთ „ერთობაში" ჩემ შემდეგ განცხადებას:

ამიერიდგან მე გწყვეტ ყოველგვარ კავშირს რუსეთის კომუნისტურ პარტიასთან და ჩემ მცირე ძალღონეს უერთებ საქართველოს სოციალ დემოკრატიულ მუშათა პარტიას.

ნიფ ვექ. ანდრო ბიბურიშვილი.

## შემოწირულება

თფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მიიღო: 1) თავრიზის გარნიზონის ქართველ მხედართა კულტურულ განმანათლებელი წრის თავმჯდომარის რაფ. ჩხაიძისაგან ექვსასი მან. წრის ფული. 2) კახეთის რკინის გზის გამგეობისა და სამმართველოსაგან, განსვ. ა. ს. წუწუნავას გვირგვინის ნაცვლად ხუთასი მან. 3) ექიმ. ნიკ. მელიქიშვილისაგან შეგროვილი სამკურნალო ფაკულტეტის მოსაწყობად სამი ათას სამასი მან. 4) ელისაბედ სეგანიშვილისაგან და ელენე ამულაძისაგან ასი მან. განსვენებულ კ. მამაცაშვილის გვირგვინის ნაცვლად—ერთ ერთ სტუდენტის სწავლის ფულად. 5) ალ. ცხადაძისაგან ხუთი თუმანი. 6) მღვდლის ისიდორე მაჰარაშვილისაგან სიკო ჩერქეზიშვილის სახსოვრად მისი სოფლელის კურთხევის დროს შეგროვილი ხუთი თუმანი, სია შემომწირველთა: მღვ. ის. მაჰარაშვილი ათი მან., სამსონ ქებაძე ათი მან., ალექსანდრე ნოზაძე ათი მან., და სხვებმა ოცი მანეთი.

უნივერსიტეტის გამგეობა უღრმეს მადლობას სწირავს შემომწირველთ.



# განცხადებანი

## ბიურო

საქართველოს ს.-დ. მუშათა პარტიის თფილ. ორგანიზაციის მე-4 რაიონულ კოლექტივისა გადავიდა ახალ ბინაზე, ოლღას ქუჩა № 29, სახლი არამიანცისა. ღიაა დილის 10 1 საათამდე და საღამოს 3—7 საათამდე.

ამასთანავე ბიურო აცხადებს, რომ საწევრო გადასახადისა და საარჩევნო ფონდის სასარგებლოდ გადადებული დღიური ხელფასის მიღება ხდება ბიუროში ზემოთ აღნიშნულ საათების განმავლობაში.

1918 წ. დაახლოვებით ნოემბრის თვეში

## დავკარგე

მე გიორგი დანიელის ძემ დანელიამ ს. დ მ. პარტიული წიგნაკი № 1289 რასაც ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან ვთვლი გაუქმებულად.

გახსნილია

## კერძო სამკურნალო

მუდმივი საწოლებით.

მიიღება ყოველგვარი სნეულებიანი ავათმყოფნი.

მიხეილის პრ. № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს" გვერდით) ტელეფ. 5—97. ავათმყოფთა მიღება სპეციალისტ ექიმებისაგან ყოველდღე დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე. ოპერაციები, კონსულტაციები, „914" და „606" შეშხაპუნება, მასაჟი, ყვავილის აცრა, სტაციონალური ავათმყოფები მიიღებიან სრულ პანსიონით.

ექიმი დ. ე. ჯაფარიძე

ღებულობს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებათა ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 [illegible] ქუჩა № 7. ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ ტელეფონი 16—63.

გახსნა თვალის საავადმყოფო (მუდმივი საწოლებით)

## ექიმი დოხნინისა

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს" ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

მიხეილის კერძო სამკურნალო

მუდმივ საწოლებით. მიხეილის პრ. № 167, ტელ. 11—35. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე.

ექ. ა. ნ. შატილოვი თვალ. სნეულ. დილ. 9—10 ს., ა. დ წულუკიძე ქირურგ. და შინაგ. 9—10 ნახ. ს., ი. ნ. ტერ-აკოფოვი ქალ. და საბავშო 10—11 ს., მ. ფ. მგალობლიშვილი ქირ. და ქალ. 11—12 ს., მ. ი. ვაჩნაძე შინაგ. და საბავშო 11—12 ს., ნ. ა. გამრეკელი შინაგ. და ნერვ. დილ. 12—1 ს., ა. პ. წულუკიძე ქირ. და შინაგ. საღ. 5—6 ს., ქ. მ ტყეშელაშვილი ტყავისა და ვენერ. 6—7 ს. მასაჟი, ელექტრიზაცია, კანის ქვეშ შეშხაპუნება. 606 და 914 შეშხაპუნება. საავათმყოფოსთან არსებობს სამშობიარო განყოფილება ექ. მ. მგალობლიშვილისა და ი. ნ. ტერ-აკოფოვის ზედამხედველობით.

ექიმი ნიკოლოზ დავითის ძე

## მახვილაძე

იღებს სპეციალურად ვენერიულ (სიფილისი) და მისი შედეგებით [illegible] ნაკლულოვანებით, ნერვიულ, ყელის, ყურის, და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის პირდაპირ.

ექიმი

## ა. ნ. შატილოვი

იღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სემიონოვის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლო).

ექიმი

იოსებ რაჟდენის ძე ციციაძე

ღებულობს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფთ საღამოს 5—7 ს. მიხეილის პრ. № 121, ბინა 4. ტელეფონი 11—06.

კბილის საექიმო კაბინეტები

თედორე საყვარელის ძე ცხოველიძისა

ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 18—35.

ექიმი მ. ა. ზაფრანი.

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქ. № 33.

მედიცინის დოქტორი

## ა. გ. მაჭავარიანი

იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს 5—7 ს. ყოველდღე, გარდა კვირისა. მიხეილის ქუჩ. № 111. სახლი ადამოვისა, 2 ფლიგელი. ველის ტელ. № 49.

ექიმი

## პ. ტ. ლორთქიფანიძე

(ბაქოდან)

მიიღებს შინაგან სნეულებისა და ბავშვების ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—12 საათამდე.

[illegible] ქუჩა, სახლი 11. ტელ. 8—19.

ექიმი ქალი

მ. ს. კარუქის—ბეგურიშვილი.

იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველდღე დილის 12—2 ს. საღამოს 4—6 საათ. იძლევა სამებრო დარიგებას. მისამართი: ბელინსკისა და იზმაილოვის ქუჩების კუთხე № 24—28. შესასვლელი იზმაილოვის ქუჩიდან.

ექიმი ნ. დ. ტურიაშვილი

(მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. შინაგან სნეულება, საბავშვო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სემინარიის აფთიაქის გვერდით.

## იყიდება ძველი გაზეთები

პირობების გაგება შეიძლება გაზ. „ერთობის" კანტორაში—დილის 9 საათ. 2 ს. და საღამოს 5—8 საათამდე.

საქართველოს რესპუბლიკის ქალთა კავშირი აწყობს მომქმედი ჯარისთვის

## შემხვევთა რაზმებს, ლაზარეთებს და მასაზრდოებელ პუნქტებს

და ამისათვის იწვევს სამსახურისთვის: ექიმებს, ფერშლებს, მოწყალების დებს და სანიტარებს. განცხადებები მსურველებისაგან მიიღება ქალთა კავშირის სამკურნალო სასანიტარო განყოფილებაში. პუშკინის ქუჩა № 3. განყოფილება ღიაა ყოველ დღე დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. (2—1)

გორის მაზრაში **ასარჩევია თორმეტი მოსამართლე.** ჯამაგირი მომატებულია. თხოვნები 1919 წლის 15 იანვრამდე მიიღება.

(2—1) გორის სამაზრო ერობის გამგეობა.

## ყოფილი აგენტების საყურადღებოთ!

კანტორა „განათლება" უკანასკნელათ სთხოვს ყოფილ აგენტებს: მათზე დარჩენილი ვალი, დაუყონებლივ გადაიხადონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი სახელი და გვარი გაზეთებში გამოცხადდება და ფულის ასაღებათ შესაფერი ზომები იქნება მიღებული.

## საქართვ. ს.-დ. მუშ. პარტიის ცენტრ. კომ. და თფ. კომიტეტი

გადავიდა ახალ შენობაში, გოლოვინის პროსპექტი, სახლი არაქელოვისა № 24, მეორე სართული. ტელეფ. 3—67

ამა წლის 29 აგვისტოს (ძვ. სტილ.) ბელორეჩენსკაიას 9 ვერსით მოშორებულ სტანიცა ფშეხოვსკაიას მახლობლად (ეკატერინოდარის რაიონ) ბრძოლის დროს

## უკვალოდ დაიკარგა

1-ელი ქართულ საარტილერიო ბრიგადის მე-6-ე ბატარეის კანონირი

დავით არონის ძე ელიზულაშვილი.

ვინც მის შესახებ რაიმე სარწმუნო ცნობების მოწოდებას შესძლებს, დაბეჯითებით ვთხოვთ,

## ჯილდოს მიიღებთ

შეატყობინოს გულდათუთქულ მშობლებს შემდეგი მისამართით: ქ. ქუთაისი. მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი, არონ იაკობის ძე ელიზულაშვილი. (12—7)


მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გამბეტის შესახვევი. № 1.